პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 167 (20508) პარასკევი, 21 ივლისი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

19 ივლისს დილის 10 საათზე კრემლში მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა**, გახსნა რა პალატების გაერთიანებული სხდომა, თქვა, რომ დღის წესრიგშია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის მიცემული დავალებების შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხი. მოხსენებას გააკეთებს ა. ი. ლუკიანოვი.

მაგრამ ვფიქრობ, ხაზგასმით აღნიშნა თავმჯდომარემ, უმაღლეს საბჭოში ჯერ უნდა ვიმსჯელოთ კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის თაობაზე, რომელიც კუზბასსა და დონბასში შეიქმნა. მდგომარეობა ამ რეგიონებში რთულია, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი სიმწვავე.

კემეროვოში კომისიამ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, საოლქო საგაფიცვო კომიტეტთან ერთად განიხილა ყველა გადაუდებელი საკითხი, რომლებიც ადგილზე წყდება. კომისიას საგაფიცვო კომიტეტთან კარგი საქმიანი ურთიერთობა აქვს. ასეთ ატმოსფეროში შეიძლება განიხილონ კუზბასის განვითარებაში დაგროვილი ძნელი პრობლემები.

მწვავე სიტუაციაში მუშები კვლავ ძალიან პასუხისმგებლურად, დისციპლინიანად, ორგანიზებულად იქცევიან. პრაქტიკულად არ არის დამნაშავეობა და მთვრალები. დაკეტილია ღვინის მაღაზიები. მუშათა კლასი ძალზე დიდ ორგანიზებულობას იჩენს.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მრავალი საკითხი შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს, მეშახტეებს კი სურთ ერთბაშად მიიღონ პასუხი. გასაგებია სიტუაცია, რომელშიც კუზბასი აღმოჩნდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რეალური შესაძლებლობანი. იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ზოგიერთ კითხვას, საჭიროა რამდენიმე კვირა, თვე მათი დამუშავებისათვის. მეშახტეები ამას, როგორც ჩანს, არ დაეთანხმნენ, თუმცა საგაფიცვო კომიტეტს ესმის, რომ ეს დიდი საკითხებია და ერთბაშად ვერ გადაიჭრება. ახლა მიტინგებზე, რომლებზეც გამოდიან კომისიისა და საოლქო საგაფიცვო კომიტეტის წევრები, განიხილავენ ამ პრობლემებს.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რამდენად რთულია შექმნილი ვითარება ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც. ამის დასადასტურებლად ვიტყვი, რომ ქვეყანას უკვე დააკლდა მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი — ეს ჩამორჩენა ვერ ანაზღაურდება.

გარდა ამისა, კუზბასს შეუერთდა დონბასიც. დღეს იქ რამდენიმე შახტში შეწყვეტილია მუშაობა. გუშინ საღამოს მე და ნ. ი. რიჟკოვმა გავგზავნეთ დეპეშა, რომელშიც განმარტებულია, რომ ყველა ღონისძიება, რომლებიც განხორციელდება კუზბასის მიმართ და საერთო-დარგობრივი მნიშვნელობა აქვს, გავრცელდება დონბასის მაღაროელებზეც. ვფიქრობ, ეს სწორია. საქმე, მაგალითად, ეხება შრომითი სტაჟის გამოანგარიშებას. ვიღაცამ გაავრცელა ასეთი ახალი ამბავი, და მან მიაღწია მეშახტეებამდე. როგორც ჩანს, ერთ-ერთი დისკუსიის დროს ვიღაცას უთქვამს, რომ მეშახტეებს უნდა მიეცეთ სპეციალური პენსია იმ შემთხვევაში, თუ მათ იმუშავეს არა 10, როგორც დღემდე იყო, არამედ 15 წელი. მაგრამ ოფიციალური თვალსაზრისი ასეთია — როგორც იყო 10 წელი, ასევე რჩება. სვამენ ღამის ცვლაში სამუშაოს ანაზღაურების საკითხს.

ჩვენამდე მოდის ცნობები, რომ რკინიგზაზე მემანქანეებს ვიღაც აწვდის იდეას, რომ 1 აგვისტოდან ჩაებან გაფიცვაში. ასეთ სიტუაციაში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, მაგრამ არ უნდა გამოვიჩინოთ გულარხეინობა და არ უნდა ვიყოთ უმოქმედოდ. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გვინდა მივმართოთ ყველა პარტიულ კომიტეტს, რომ აქტიურად იმუშაონ ადამიანებთან და უწინარეს ყოვლისა გააგებინონ მშრომელებს ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს, მთავრობის შეშფოთება, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება საფრთხეს უქმნის იმ უდიდესი გეგმების რეალიზაციას, რომლებიც დავსახეთ და ხელი მოვკიდეთ მათს გადაწყვეტას. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროს. ქვეყანა შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როცა უნდა ვიფიქროთ, რა ფორმები გამოვიყენოთ, იმისათვის, რომ სიტუაცია არ გაგვეპაროს ხელიდან. მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ამხანაგებს, შექმნილმა ვითარებამ შეიძლება ლახვარი ჩასცეს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ.

იქნებ ეს ვინმეს ხელს აძლევს კიდეც. კემეროვოში უკვე გაჩნდა მოწოდებები ბოლო მოუღონ კომუნიზმსა და სოციალიზმს, მაგრამ მუშებმა მტკიცედ უარყვეს ეს ლოზუნგები. გამოჩნდნენ ემისრები თავიანთი ექსტრემისტული და ანტისოციალისტური ლოზუნგებით, რომლებიც ცდილობენ ისარგებლონ ვითარების გამწვავებით და მუშათა უკმაყოფილებით. საკითხი ფრიად სერიოზულად დგას. ვიმედოვნებ, რომ საუბარს, რომელსაც ვაწარმოებთ, შეისმენენ მუშები და გაიგებენ უმაღლესი საბჭოს, პარტიული ორგანოების, მთავრობის შეშფოთების არსს.

ვფიქრობ, რომ მუშათა წუხილი, რაც ყველაზე მკვეთრი ფორმითაც კი გამოვლინდა, უნდა აღვიქვათ და მათ მიერ აღძრული ყველა საკითხი უნდა განვიხილოთ. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ საჭირბოროტო საკითხებს ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, ეროვნებათშორის ურთიერთობაში, პოლიტიკურ პროცესში გადავწყვეტთ მხოლოდ გარდაქმნის გზით. თუ ვინმეს ჰგონია, თითქოს დღეს მთავრობას, ახლა კი უმაღლეს საბჭოს ხელთა ჰქონდეს და სადღაც სხვა მიზნებისათვის გზავნიან რესურსებს, რომლებიც ხალხის ინტერესებისათვის უნდა იყოს გამოყენებული, ეს მცდარი აზრია. ვფიქრობ, კუზბასელი მუშები ყოველივე ამას გრძნობენ. მათ ესმით: არათუ ზედმეტი, არამედ რაიმე უცნობი მარაგიც კი, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ავამოქმედოთ და გავხსნათ კვანძები, ქვეყანაში არ არის. რესურსები და შესაძლებლობანი უნდა მივიღოთ მხოლოდ გარდაქმნის გზით და იმ მკვეთრი გარდატეხების გზით, გარდაქმნის ფარგლებში რომ ისხამს ხორცს. ეს მუშებს ესმით, რასაც ძალიან დიდად ვაფასებ.

ადამიანებმა მტკიცედ დასვეს საკითხი — ამასაც მინდა მხარი დავუჭირო, ვფიქრობ მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოც, — რომ უთუოდ უნდა გადაწყდეს ყველა საკითხი, რომლებსაც გადაუდებელი ხასიათი აქვს და რომელთა გადაწყვეტის შესაძლებლობანი არის, გარკვეული საკითხები, გარკვეული ვადისათვის გაანგარიშებული, უნდა განვიხილოთ და მივიღოთ გადაწყვეტილებანი ახალ შესაძლებლობათა გამოვლენის გათვალისწინებით. მაგრამ აუცილებლად უნდა დავუქვემდებაროთ ისინი კონტროლს ცენტრშიც და ადგილებზეც. კონტროლი მუშებმაც უნდა განახორციელონ.

კუზბასის ამბები მოწმობს, რომ მართლაც რეფორმას ადგილებზე, — ეს ვიგრძენი იჟორის ქარხანაში მუშებთან, ლენინგრადელებთან საუბარში, ლენინგრადში პარტიის საოლქო კომიტეტის წევრებთან საუბრებსა და მათი გამოსვლების მოსმენის დროს, — აბრკოლებს ზემოდან გადაუწყვეტელი საკითხებიც და ისიც, რომ ადგილებზე არ სურთ მკვეთრად შეცვალონ საქმე.

ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მუშები მართებულად არიან შეშფოთებული, ისინი გადაჭრით მოითხოვენ რეფორმის განგრძობას და ამას მხარი უნდა დავუჭიროთ. ეს ფრიად მნიშვნელოვანია. ადამიანები რეფორმას მოითხოვენ. როგორც კუზბასელებმა თქვეს, ისინი არ ეთანხმებიან იმას, რომ შახტებს არა აქვთ საწარმოთა უფლებები, და მოითხოვენ ამ უფლებებს. მათ სურთ გაუძღვნენ მეურნეობას, უკეთ იმუშაონ, მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს და ამის საფუძველზე გაზარდონ შემოსავალი და ისე განკარგონ იგი, რომ ხელფასიც იზრდებოდეს, და, რაც ყველაზე მთავარია, ჰქონდეთ შესაძლებლობა გაშალონ და ხორცი შეასხან სოციალური გარდაქმნის პროგრამას. ეს საქმის სწორი დაყენებაა. მაგრამ მუშაობის შეწყვეტას, ენერგეტიკული საწარმოების შეჩერებას კუზბასსა და დონბასში, თანაც თუ რკინიგზელებიც შეუერთდნენ, მომავალში შეიძლება ცუდი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს. მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას: ეს ის გზა არ არის. უნდა ვიაროთ გარდაქმნების გზით, დავძლიოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, და უფრო დინამიკურად გადავწყვიტოთ ეკონომიკის მომწიფებული საკითხები, სოციალური პრობლემები, მივაღწიოთ ახალ შედეგებს, უფრო დიდ ნაყოფიერებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეს არის ჩვენი გზა. ამიტომ მინდა იმედი ვიქონიო, რომ იზიარებთ აზრებს, რომლებმაც მაიძულეს ყოველივე მეთქვა თქვენთვის.

ტრიბუნაზეა მაკეევკელი დეპუტატი **ა. ნ. საუნინი.** მან განაცხადა, რომ ეს-ეს არის დაბრუნდა დონბასიდან, სადაც მეშახტეებს შეხვდა. იქ ვითარება კვლავ რთულია: თუ გუშინ ორი ათეული შახტი არ მუშაობდა, დილისათვის, უკვე 58 შახტი იყო გაჩერებული. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშათა კლასი ამასთან იჩენს ორგანიზებულობას, ქალაქში არ არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, საკადრის პასუხს სცემენ იმის ცდებს, რომ მეშახტეებს თავს მოახვიონ პოლიტიკური ლოზუნგები. გამოთქვა რა აზრი ამ მოვლენების მიზეზთა გამო, მან თქვა, რომ სიტუაციამ კუზბასის გარშემო დონეცკელ მეშახტეებს გაუღვიძა შიში, რომ გადაწყვეტილებებს მიიღებენ მხოლოდ ერთი რეგიონის და არა მთელი ქვეყნის მიხედვით.

მთელი თავისი საფუძვლით, თქვა ორატორმა, დონბასში წამოყენებულ მოთხოვნათა 55 პუნქტი სამართლიანია. ისინი გამომდინარეობს დარგსა და რეგიონში დაგროვილი პრობლემებიდან. საკითხთა ნაწილი ადგილზე გადაწყდა, მაგრამ რამდენიმე დიდი პრობლემა მთავრობის დონეზე უნდა განვიხილოთ. დეპუტატმა განაცხადა, რომ ამის თაობაზე შეხვდა ნ. ი. რიჟკოვს. როგორც აღინიშნა, საჭიროა იმის გაგება, რომ ყველა ამ საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ მეშახტენი ელიან, რომ ამისათვის დაასახელებენ ზუსტ კონკრეტულ ვადებს. მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დარგს ეხება, უკვე მიიღო კუზბასში მომუშავე კომისიამ: კერძოდ, ღამით და საღამოს მუშაობისათვის ხელფასის დანამატის, დასვენების ერთიანი დღის შესახებ და სხვები.

განსახილველ სიტუაციასთან დაკავშირებით ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედისათვის, მთელი ძალები მოახმარონ მწვავე პრობლემებზე კონკრეტულ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებას. მან გააკრიტიკა თეზისი ეტაპობრივი და თანდათანობითი გარდაქმნების საჭიროების შესახებ. ასეთი ევოლუციურობა ჩვენთვის საზიანოა. და თუ გამოიყო პრიორიტეტული მიმართულებანი, მტკიცედ უნდა ვიმოქმედოთ.

მიმართა რა დონბასელ მეშახტეებს, დეპუტატმა მოუწოდა კეთილგონიერებისათვის, იმის გაგებისათვის, რომ გაფიცვის ყოველი დღე — ეს არის მილიონობით მანეთის დაკარგვა, რომლებიც გაფიცულთა მოთხოვნების რეალიზაციას შეიძლება მოხმარდეს.

დეპუტატმა, რომელსაც თავისი გვარი არ უთქვამს, დამსწრეთ მოუწოდა უმაღლესი საბჭოს სახელით მიმართონ გაფიცულებს შეუდგნენ მუშაობას. მათ უნდა იგრძნონ დღევანდელი მდგომარეობის სირთულე, იფიქრონ თავიანთი მოქმედების შედეგებზე. არ უნდა დავუშვათ, რომ ქვეყანაში გაფიცვების ჯაჭვური რეაქცია მოხდეს.

დეპუტატმა **გ. თ. ლიუბენკომ** ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ის მაღაროელებიც, რომლებიც ძირითად ნედლეულს იძლევიან მეტალურგიისათვის, ასევე მიწისქვეშ მუშაობენ. მაგრამ ბევრი მათგანი მოკლებულია იმ შეღავათებსაც კი, რომლებიც მექვანახშირეებს აქვთ. აქ გაისმის შეშფოთება მეშახტეთა მდგომარეობის გამო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მაღაროელებიც. გაფიცვები კუზბასსა და დონბასში საფრთხეს უქმნის მეტალურგიას. ორატორმა დამსწრეთ მოუწოდა ყურადღებით მოეკიდონ ამ დარგს.

დეპუტატმა **ვ. ი. მედიკოვმა** განაცხადა, რომ დღეს კუზბასის საოლქო საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეაჩეროს გაფიცვა. კუზბასელებს არა სურთ, რომ გაფიცვა საკავშირო იყოს, ესმით, რომ ეს ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს. მან კუზბასელ დეპუტატთა სახელით ქვეყნის ყველა რეგიონს მოუწოდა არ გაავრცელონ გაფიცვა. ჩვენ, თქვა შემდეგ ორატორმა, ხვალ მივფრინავთ კემეროვოს ოლქში.

ორატორმა აღნიშნა, რომ ახლა არ ღირს იმის გარკვევა, თუ ვინ სად უფრო ცუდად ცხოვრობს. ეს ეკონომისტთა და სოციოლოგთა ამოცანაა. შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები უნდა დაეუფლონ სიტუაციას და არ ელოდონ, სანამ იგი უმართავი გახდება. მეშახტეთა რეგიონებში უნდა მოეწყოს მშრომელთა კრებები მუშაობის შეუჩერებლად, შეიქმნას მუშათა კომიტეტები. დროა შეიქმნას დარგობრივი კომიტეტიც.

განაზოგადა რა ნათქვამი, **მ. ს. გორბაჩოვმა** აღნიშნა: მეშახტეთა მოსმენამ ყველანი შეგვაშფოთა. უნდა გავიზიაროთ აქ გამოსულ მეშახტეთა პოზიცია. ეს სახელმწიფოებრივი, სერიოზული, მწვავე, მაგრამ სამართლიანი და პასუხისმგებლური პოზიციაა, უნდა მხარი დავუჭიროთ უმაღლესი საბჭოს სახელით მათს იმ მიმართვას ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისადმი, რომ გარდაქმნათა რეფორმის ამ გარდამტეხ ეტაპზე დიდი პასუხისმგებლობა უნდა გამოვიჩინოთ. აქ ამხანაგმა კ. ქ. უსკამ, ლიტვის მუშათა კავშირის თავმჯდომარემ, დაწერა, რომ ლიტვის მუშათა კავშირიც წინააღმდეგია მადესტაბილიზებელი გაფიცვებისა. მისი აზრით, მუშებს უნდა მივცეთ ორგანიზების საშუალება და გაფიცვებიც ნაკლები იქნება. ამ იდეას მხარი უნდა დავუჭიროთ. თუ ეკონომიკის დესტაბილიზაციის გზას დავადგებით, ეს ჩაშლის მთელ ჩვენს მუშაობას, მთელ ჩვენს გარდამქმნელ პროცესებს, და იძულებული ვიქნებით ცენტრალურ კომიტეტში, უმაღლეს საბჭოში, მთავრობაში ვეძებოთ პრობლემების გადაჭრის სხვა ვარიანტები. ეს შესაძლებელს გახდის იმ ადამიანთა ამბიციების რეალიზაციას, რომლებიც შორს არიან გარდაქმნისა და სოციალიზმისაგან, ხალხის ინტერესებისაგან. აქ კი ისინი შეეცდებიან თავისი გაიტანონ. ისინი ახლაც ცდილობენ. საკმარისი იყო აღელვებულიყვნენ კუზბასელი მეშახტეები — და დაუყოვნებლივ გაჩნდა იქ დემოკრატიული კავშირი, და არა მარტო იგი. მე მხარს დავუჭერდი მთავარ იდეას, რომელიც აქ გამოთქვეს ამხანაგებმა, — რომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მთელ მუშაობაში მუშათა კლასს — ჩვენი საზოგადოების წამყვან, გადამწყვეტ ძალას, მის ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, სოციალიზმისა და იმ პოლიტიკის ერთგულებას, რომელსაც ახლა ვახორციელებთ გარდაქმნის ფარგლებში. მაგრამ ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ იმ პრობლემებსაც, რომლებსაც ამ ბოლო დროს გვისახავენ მუშები. ლენინგრადში ლაპარაკობდნენ გარდაქმნის დახმარების კომიტეტის შექმნის შესახებ მისი მესაბოტაჟეების წინააღმდეგ.

ყველა საკითხს მშრომელებთან ერთად უნდა ვწყვეტდეთ კოლექტივებში. ვწყვეტდეთ ყველაფერს, რის გადაწყვეტაც შესაძლებელია ახლანდელ პირობებში, და გვქონდეს მოქმედების პროგრამა კოლექტივის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის ფარგლებში, რათა ჩვენი საერთო მიზნები აისახებოდეს კონკრეტულ პირობებში, რომლებშიც შრომობენ ესა თუ ის შრომითი კოლექტივი ან ამა თუ იმ რეგიონის მშრომელები. აი, რა არის ამოცანა. სწორედ ამის გარშემო იყო სჯა-ბაასი გუშინ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან თათბირზე. ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს პარტია, რატომ არ გვაკმაყოფილებს ბევრი პარტიული კომიტეტის გარდაქმნის მიმდინარეობა. საუბარი სერიოზული იყო. ჩემი აზრით, იგი მოიტანს შედეგებს და სარგებლობას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებების შესასრულებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ა. ი. ლუკიანოვს.**

სანამ ა. ი. ლუკიანოვის მოხსენების განხილვა დაიწყებოდა, **თავმჯდომარემ,** დაიმოწმა რა დეპუტატთა ბარათები და თხოვნა, თქვა, რომ უნდა განისაზღვროს კანონპროექტების განხილვის პრიორიტეტულობა. მათ შორის არის ისეთები, რომელთა გადადება არ შეიძლება.

იწყება კამათი მოხსენების გამო.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ვ. გ. კუჩერენკოს** — უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს. მან დაახასიათა შემოთავაზებული პროგრამა და აღნიშნა, რომ გონივრულად უნდა განისაზღვროს ყრილობის დავალებათა შესრულების თანამიმდევრობა. საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის პოზიციებიდან პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალებს შემატებს ეკონომიკას. ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას კი უფრო გააზრებულად უნდა მოვეკიდოთ, მხედველობაში მაქვს რა მათი დაფარვის უკვე განსაზღვრული წყაროები. სწორედ იმის შეგრძნებამ, რომ მთელ რიგ პროგრამებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც ახლა ამუშავებენ კომისიებსა და კომიტეტებში, შესაძლოა, დასჭირდეს დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებანი, მაიძულა სწორედ, თქვა დეპუტატმა, ავსულიყავი ტრიბუნაზე.

საკითხები უთუოდ უნდა გადაიჭრას, მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუჯეტში 120 მილიარდი მანეთი დეფიციტი გვაქვს.

ორატორმა გაიხსენა წინადადებანი, რომლებიც უკვე გაისმა ამ სიტუაციის ლიკვიდაციის თაობაზე, მაგრამ ისინი ყოვლისმომცველი არ არის. ამიტომ, ორატორის აზრით, კომისიებსა და კომიტეტებში უნდა განვიხილოთ ღონისძიებანი, რომლებიც მუშავდება საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, და მისი აზრის გაუთვალისწინებლად არ მივიღოთ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებს ბიუჯეტის სახსრების ხარჯვას. ყურადღება უნდა მივაპყროთ საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევის რეზერვების ძიებას. ასეთად, კერძოდ, დასახელებულია სამრეწველო საწარმოთა მოგების ხარჯზე ბიუჯეტის ანარიცხების გაზრდა.

დეპუტატმა **ვ. მ. ვოლოგჟინმა** გამოთქვა თავისი თვალსაზრისი საკანონმდებლო აქტების განხილვის წესის შესახებ და აღნიშნა რომ, მისი აზრით, პირველი უნდა იყოს კანონი საკუთრების შესახებ, მის მიუღებლად არასრული ან დროებითი ხასიათი ექნება სხვა იმ საკანონმდებლო აქტების მომზადებას, რომელთა მიზანია რადიკალური ეკონომიკური რეფორმა.

ორატორმა თქვა, რომ ორ კვირას მიმდინარეობდა ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ კანონის პროექტის შესწავლა და მოსმენა. მოსმენის შედეგები განსახილველად გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

ასეთ მოკლე ვადაში ბრძანებულებებისა და კანონების განხილვა და მიღება რთულია, მაგრამ აუცილებელი. ეს საშუალებას მოგვცემს გაისად მოვამზადოთ სახალხო მეურნეობა მე-14 ხუთწლედში ახლებურად მუშაობისათვის, აგრეთვე განვაგრძოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებს, მთავრობასა და სამთავრობო ორგანოებს მეტისმეტად დაძაბული და რთული მუშაობა ელით. ორატორმა სთხოვა უმაღლესი საბჭოს ყველა წევრს, მეცნიერებს, ინჟინრებს, ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში, რათა წლის დამლევისათვის რადიკალური ეკონომიკური რეფორმის საკითხების გადაწყვეტისათვის ყველა საჭირო კანონი მიიღოს უმაღლესმა საბჭომ.

ეროვნულ ურთიერთობაში კეთილმეზობლობა, აღნიშნა დეპუტატმა **მ. შახანოვმა,** შესაძლებელია მხოლოდ სრული გულწრფელობისა და ნდობის საფუძველზე. მან თქვა, რომ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ტრიბუნიდან წამოაყენა წინადადება 1986 წელს ალმა-ათაში მომხდარი დეკემბრის ამბების გამო კომისიის შექმნის თაობაზე, სადაც, მისი აზრით, კანონსაწინააღმდეგო მოქმედება დაუშვეს შინაგანმა ჯარებმა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა. მაგრამ ეს განცხადება უყურადღებოდ დარჩა. ამიტომ დეპუტატთა ჯგუფის სახელით მან კვლავ მოითხოვა შეიქმნას კომისია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთაგან. ამას დაბეჯითებით მოითხოვს, ხაზი გაუსვა მან, ყაზახეთის ხალხიც. დეკემბრის ტრაგედია ჩვენი საერთო სატკივარია. ამ ტრაგედიიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. თუ არ ვიტყვით სიმართლეს, რაოდენ მწარეც უნდა იყოს იგი, გადაუჭრელ პრობლემებს წავაწყდებით ეროვნებათშორის ურთიერთობაში.

ორატორის აზრით, რესპუბლიკურ კომისიას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ალმა-ათის ამბების გამოსაძიებლად, არ ძალუძს მისცეს მათ ობიექტური შეფასება.

დეპუტატმა **ვ. ი. სამარინმა** თქვა, რომ ეკონომიკურ სიახლეებთან ერთად უნდა შემოვიღოთ სამართლებრივი სიახლეებიც. მისი აზრით, საჭიროა გადაწყდეს შრომითი დავის შესახებ კანონის საკითხი. თუმცა, ფორმულირების „შრომითი დავის“ გამო მან თქვა, რომ იგი მთლად ზუსტად არ გამოხატავს პრობლემის არსს.

შემდეგ ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, უმაღლეს საბჭოში და, მეორე მხრივ, ადგილებზე საკითხების გადაწყვეტისადმი მიდგომის დონეთა განსხვავება. მან თქვა, რომ საჭიროა უახლოესი საკანონმდებლო აქტების რიცხვში შეტანილი იყოს სსრ კავშირში დეპუტატების არჩევნების შესახებ კანონმდებლობის საფუძველთა მიღება. ეს საფუძვლები უნდა გახდეს რესპ-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვისა და ფ. მაიორის შეხვედრა

19 ივლისს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ფედერიკო მაიორს.

თანამოსაუბრენი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს — 1986 წელს, როცა ფ. მაიორი სსრ კავშირში ჩამოვიდა, როგორც ისიკ-ყულის ფორუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მონაწილე, და 1987 წელს — კაცობრიობის გადარჩენისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

თავიდანვე საუბარმა მიიღო იმ პრობლემების გამო აზრთა ცოცხალი, ინტელექტუალური გაზიარების ხასიათი, რომლებიც აწუხებს მსოფლიო გაერთიანებას. იგი გამოირჩეოდა ერთმანეთისადმი კეთილი განწყობილებით, პატივისცემით და ურთიერთგაგებით.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ახლანდელ ეტაპზე გარდაქმნის კონცეფცია ცხოვრებისეულ გამოცდას გადის. სწრაფად ვითარდება პოლიტიკური პროცესები საზოგადოებაში. ისინი წინაც კი უსწრებენ სხვა სფეროებში, კერძოდ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა პარტიის — იმ ერთადერთი ძალის ბრძნული და დინამიკური პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია ხომალდის მართვა, უნარი შესწევს არ გადაახვევინოს მას კურსიდან.

ახლა გარდაქმნას ყველაზე ძნელი, კრიზისული მომენტი აქვს. პარტიამ უნდა შეასრულოს თავისი როლი: შეაკავშიროს მთელი ძალები, მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, „ფორმალური“ თუ „არაფორმალური“ მოძრაობა, ყველა, ვინც არის ქვეყანაში, ყველა, ვისაც სურს გარდაქმნა და საზოგადოების რევოლუციური განახლება.

ჩვენ ვესწრაფით იმას, რომ საზოგადოებაში, რომლის მშენებლობა 1917 წლის ოქტომბერში დაიწყო, ადამიანი თავს კარგად გრძნობდეს, რომ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

გარდაქმნის მეორე ასპექტია თანამედროვე მსოფლიოს, როგორც მთლიანის და ურთიერთდამოკიდებულების, ჩვენეული ხედვა. ეს ის არის, რასაც ჩვენ ახალ პოლიტიკურ აზროვნებას ვუწოდებთ. თუ პოლიტიკა არ გამდიდრდება მორალით, მეცნიერული ცოდნით, ჰუმანიზმზე, საკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ურთიერთობა არ გამოგვივა. იუნესკოს, რომელიც აერთიანებს დიდ და ავტორიტეტულ ინტელექტუალურ ძალებს, აქ შეუძლია თავისი დამაჯერებელი სიტყვა თქვას.

ფ. მაიორმა გაიზიარა ეს აზრი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდაქმნის მეოხებით საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში უდიდესი მორალური ავტორიტეტი მოიხვეჭა. გარდაქმნის [illegible] სსრ კავშირისთვის [illegible] ნილობა. იგი საჭიროა საერთაშორისო [illegible] თვალსაზრისითაც.

ფ. მაიორი შეეხო ამჟამად იუნესკოს საქმიანობის მთავარ მიმართულებებს, ორგანიზაციის 90-იანი წლებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესამუშავებლად გამიზნულ ძალისხმევას. საქმე ეხება, კერძოდ, ადამიანის პიროვნების განვითარების მეცნიერულ კონცეფციებს, გარემოს დაცვას და სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლას, იუნესკოს ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავების გზაზე გადადგმულ სხვა ნაბიჯებს.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს იუნესკოს სხვადასხვა პროგრამაში, განავითაროს ურთიერთობა და თანამშრომლობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ი. ტ. ფროლოვი. (საქდესი).

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო რაულ მანგლაპუსი

19 ივლისს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ფილიპინების რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მდივანი რ. მანგლაპუსი. მან მ. ს. გორბაჩოვს გადასცა პრეზიდენტ კ. აკინოს პირადი წერილი.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა სტუმარს და თქვა, რომ სსრ კავშირში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირ-ფილიპინების ურთიერთობის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენ ვაფასებთ ამ ქვეყანასთან ურთიერთობას, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა და განვითარდა. საბჭოთა კავშირ-ფილიპინების ურთიერთობის გაუმჯობესება შეესაბამება ორი ქვეყნის ინტერესებს, აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ამ უდიდესი და რთული რეგიონის უკლებლივ ყველა ქვეყანასთან. ასეთი საერთო მიდგომის საფუძველზე სსრ კავშირმა განახორციელა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში სამხედრო კონფრონტაციის შენელებისათვის გამიზნული პრაქტიკული ღონისძიებანი, მზად არის განიხილოს ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება სახელმწიფოთა უშიშროების განმტკიცებას, ნდობის, რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებებს.

რ. მანგლაპუსმა აღნიშნა საბჭოთა კავშირ-ფილიპინების ურთიერთობის ახალი ხასიათი და განაცხადა, რომ პრეზიდენტი აკინო, ფილიპინების მთავრობა დაინტერესებულნი არიან განავითარონ პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის დარგში. მან დაადასტურა, რომ პრეზიდენტი კ. აკინო აპირებს გაისად ვიზიტად ჩამოვიდეს სსრ კავშირში.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირში მოხარული იქნებიან, უმასპინძლონ ფილიპინების პრეზიდენტს, მოკითხვა შეუთვალა და ყოველივე საუკეთესო უსურვა კ. აკინოს.

საუბარმა გულახდილად და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

მასში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

დავძლიოთ უნდობლობა, ვეძებოთ დაახლოების გზები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩიტანავა, რომლებიც აფხაზეთში არიან აქ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად განაგრძობენ ენერგიულ მეცადინეობას ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისათვის.

გ. გუმბარიძე შეხვდა სოხუმში ჩამოსულ საქართველოს მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებს — გ. ლორთქიფანიძეს, ე. შენგელაიას, რ. ჩხეიძეს, ნ. ჭავჭავაძეს, ა. ბაქრაძეს, თ. ჩხეიძეს. ისინი აქტიურად მუშაობენ აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის, ესაუბრებიან მოსახლეობას, ახალგაზრდობას.

შეხვედრებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების, არამედ რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის, უწინარესად ინტელიგენციის აქტიური მოქმედება, რომელმაც ამ მძიმე განსაცდელის დღეებში უნდა გაიზიაროს ხალხის გულისტკივილი, მხარი დაუჭიროს, დაეხმაროს საზოგადოების ჯანსაღ ძალებს კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებაში.

გაიმართა გ. გუმბარიძის შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნებთან. მიმდინარეობდა საფუძვლიანი სჯა-ბაასი პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საგანგებო პირობებში მკვეთრი აქტიურობის ფორმებისა და მეთოდების, სიმძიმის ცენტრის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გადატანის შესახებ. სწორედ მათი მეშვეობით, კომუნისტების მეშვეობით უნდა იმოქმედონ დღეს პარტიულმა კომიტეტებმა და დაძლიონ უნდობლობა ადამიანებს შორის, განსაზღვრონ პოზიციათა დაახლოების გზები, ხელი შეუწყონ შერიგებას, საერთო ენის გამონახვას. როგორც ქართველი, ისე აფხაზი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, როგორც უკანასკნელი დღეების ამბები გვიჩვენებს, გამოთქვამს ამ მიმართულებით პარტიულ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს. უნდა დავაფასოთ ეს პატივისცემა, მივიდეთ ადამიანებთან, უფრო მეტად ვენდოთ ადამიანთა ზნეობრივ ალღოს, მათ მიერ ძალმომრეობისა და უწესრიგობის ბუნებრივ მიუღებლობას.

ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერა პოვა რეგიონებში ეროვნული შერიგების კომიტეტების შექმნის პრაქტიკამ, რომლებმაც უნდა გააერთიანონ ორივე ეროვნების ყველაზე პატივსაცემი ადამიანები. ეს არის შეტაკებებისა და კონფრონტაციის შეწყვეტის რეალური გზა.

აღინიშნა, რომ რაიონული და საქალაქო პრესა, ისევე როგორც საოლქო და რესპუბლიკური გაზეთები, ტელევიზია, რადიო უნდა გამოდიოდნენ თავდაჭერილად, პასუხისმგებლურად, ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი სწორი მიმართულებით.

გ. გუმბარიძე შეხვდა აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს, კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

საქართველო, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრის დროს, ცოცხალი, ერთიანი ორგანიზმია, ამიტომ ყველაფერი, რაც დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში ხდება, დიდი გულისტკივილით აღიქმება თითოეულ ოჯახში, თითოეულ სახლში. ეს გულისტკივილი და შეშფოთება გასაგებია, ოღონდ საჭიროა, რომ ემოციებმა არ დაძლიოს გონება, რომ ადამიანები ავლენდნენ სიმწიფეს — პოლიტიკურსაც, ზნეობრივსაც, სამართლებრივსაც. დადგა დრო, უკუვაგდოთ დანაშრევები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად მემკვიდრეობად გვერგო იმათი საქმიანობის შედეგად, ვინც არ ფიქრობდა მომავალზე, თაობებზე, რომლებმაც უნდა შეგვცვალონ. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას, რომლებიც მოვალენი არიან დღეს ეძებონ პოზიციების დაახლოებისა და პრობლემების გადაჭრის ახალი ფორმები სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნებათშორის ურთიერთობაში, უპირველესად დიალოგის, მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

წესრიგის დამყარებისა და ახალი კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის ძალისხმევა მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო სწრაფად შეძლებენ სამართალდამცავი ორგანოები აქტივის, მოსახლეობის დახმარებით ამოიღონ საშიში ბრუნვიდან უკანონოდ მიტაცებული იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი. აქ საჭიროა სიმტკიცეც, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობაც, გარანტიებიც, გააზრებული ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც ნებაყოფლობით აბარებს იარაღს.

ყველაზე მკაცრ პასუხისმგებლობაში უნდა მივცეთ ის თანამდებობის პირნი, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, რომლებმაც მოვლენათა კრიზისული განვითარების დასაწყისშივე ვერ შეძლეს აღეკვეთათ იარაღის მიტაცება, ზოგჯერ კი წაუყრუეს დანაშაულებრივ მოქმედებას.

კვლავ სრულიად კატეგორიულად ითქვა, რომ უმსგავსობათა წამქეზებლებიდან და თაოსნებიდან არავის, იმათ, ვინც ასე თუ ისე აქეზებს მათ, არ უნდა ასცდეს იურიდიული და პარტიული პასუხისმგებლობა, ხალხის სამსჯავრო.

ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის შეხვედრები პარტიულ და საბჭოთა აქტივთან, ქალაქებისა და რაიონების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან დამაჯერებლად მოწმობს, რომ აფხაზეთის მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობა მზად არის შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა, გზა გადაუღობოს ძალმომრეობასა და უწესრიგობას, საკუთარი ძალებით, სხვის დაუხმარებლად გამონახოს საერთო ენა, კოლეგიურად, კონსტრუქციულად გადაწყვიტოს ყველა არსებული პრობლემა მეგობრობის განმტკიცების, ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის, გარდაქმნის პროცესების წინსვლის ინტერესებისათვის.

რკინიგზის შემადგენლობა — დაცვით

20 ივლისს სოხუმის ზონაში ხუთი დღის დგომის შემდეგ მილიციისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დაცვით ადლერის მხარეს გასვლა მოახერხა „ერევან-როსტოვის“ № 184 სამგზავრო მატარებელმა. ეს რეისი მის მგზავრებს სამუდამოდ დაამახსოვრდებათ.

— როსტოვიდან მომავალი ამ ერთადერთი შემადგენლობის გარდა, ყველა დანარჩენი შემადგენლობა კვლავ დგას სოხუმის, მის ახლომდებარე სადგურებისა და მცირე სადგურების ბაქნებთან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ოლეგ ბიჭიაშვილმა. — ბევრი მემანქანე უბრალოდ უარს ამბობს შემადგენლობების წაყვანაზე იმის გამო, რომ ეშინიათ ცეცხლი არ დაუშინონ მოხულიგნო ნაციონალისტურად განწყობილმა ელემენტებმა. ჩვენ უფლება არა გვაქვს ბრძანებით ვაიძულოთ იმუშაონ. საჭიროა უშიშროების საიმედო გარანტია.

— განვლილი ხუთი დღის მანძილზე აფხაზეთში მომხდარმა ტრაგიკულმა ამბებმა მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მატერიალური ზარალი მიაყენეს ამიერკავკასიის რკინიგზას, — აღნიშნა ოლეგის კოლეგამ, რკინიგზის უფროსის მოადგილემ შალვა ვეკუამ. — შექმნილი მდგომარეობის გამო სამგზავრო მატარებლებისა და ბევრი სატვირთო შემადგენლობის მიმოსვლა როგორც საქართველოდან, ისე საქართველოსა და სომხეთში, კვლავ ხორციელდება დამატებითი რეისებით ბაქოს გავლით. ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ამ მიზეზის გამო გაიზარდა გზაში მატარებლების ყოფნის დრო. ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მნიშვნელოვანი პროდუქციის რესპუბლიკაში ჩამოტანაზე.

კვლავ რიტმულად მოქმედებს კომბინირებული გზა „სოჭი-ზღვა-ფოთი-დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შინაგანი რაიონები“.

—განვლილი დღე-ღამეების განმავლობაში, — თქვა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ჩხეიძემ, — ფოთიდან ავტობუსებით გამოვიყვანეთ სამი ათასზე მეტი კაცი, რომლებიც იქ სოჭიდან ჩაიყვანეს.

20 ივლისს დილაადრიან სოხუმში თბილისიდან გაემგზავრა ორი ავტობუსი. თბილისელმა მძღოლებმა გამოთქვეს სურვილი დაეხმარებოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში მგზავრთა გადაყვანაში. მთლიანად საქართველოში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გამოკლებით, საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტი ნორმალურად ფუნქციონირებს.

განმარტა რა ვითარება რესპუბლიკის ავიახაზებზე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ დავით გახოკიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 20 ივლისის დილის 10 საათისათვის სოხუმის აეროპორტიდან ილ-86, ტუ-154, ტუ-134, იაკ-40 თვითმფრინავებით თბილისში, კიევში, ოდესაში, მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, სხვა მიმართულებებით უკვე გაფრინდა 4312 მგზავრი. სოხუმის აეროპორტში კვლავინდებურად მიფრინავენ თვითმფრინავები, ოღონდ უმგზავრებოდ. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებებს — უპირველესი ყურადღება

ა. ი. ლუკიანოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

გაგრძელება ამხანაგებო!

სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოა, განსაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობის მთავარი ამოცანები.

ყრილობის დოკუმენტები და, უწინარეს ყოვლისა, დადგენილება „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებათა შესახებ" — მარტოოდენ კონკრეტულ დავალებებს როდი აძლევენ უმაღლეს საბჭოს, მის კომიტეტებსა და პალატების მუდმივ კომისიებს. ისინი არსებითად შეადგენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოს საქმიანობის თვისებრივად ახალ დონეზე გასვლის მთავარ ვექტორს.

სწორედ ამიტომ მომზადდა თქვენს ხელთ არსებული დადგენილების პროექტი ყრილობის დავალებათა შესასრულებლად უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა წარმოგიდგინოთ ეს დოკუმენტი.

პროექტში შეერთებულია ძირითადი პრობლემების რამდენიმე გამსხვილებული ბლოკი, რომელთა გადაჭრასაც უნდა დაეთმოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მთავარი ყურადღება. რა პრობლემებია ეს?

უწინარეს ყოვლისა, როგორც გახსოვთ, ყრილობამ, დეპუტატთა წინადადებების გათვალისწინებით, დაავალა უმაღლეს საბჭოს მოემზადებინა სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის საჭირო შესწორებანი, აგრეთვე ერთხმად ცნო საჭიროდ დაუყოვნებლივ შევუდგეთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებას.

ასეთი დოკუმენტის მომზადება ძნელი და შრომატევადი საქმეა. მაგრამ მის სირთულეს განაპირობებს ისიც, რომ ცხოვრება არ დგას ერთ ადგილზე. საზოგადოებრივი განვითარების ბევრი ტენდენცია, რომლებიც გარდაქმნის პროცესმა შვა, ჯერ მხოლოდ იკვლევს გზას, და სანამ კონსტიტუციურ ნორმებში ავსახავდეთ, ეს ტენდენციები ღრმად და საფუძვლიანად უნდა გავიაზროთ.

სწორედ ამიტომ, კონსტიტუციის რეფორმაც და კანონმდებლობის განახლებაც, ცხადია, ერთდროულად უნდა განხორციელდეს. წარიმართოს შეძლებისდაგვარად სინქრონულად, ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირით.

ამის შესაბამისად თქვენთვის წარმოდგენილი დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის კომიტეტთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტთან ერთად, სხვა კომიტეტებისა და პალატების მუდმივი კომისიების მონაწილეობით მოამზადოს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა კანონის პროექტი. განხილვის შემდეგ ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობას.

პრობლემათა შემდეგი, ყველაზე დიდი ბლოკი დაკავშირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჯერ იმ საკითხთა განხილვასთან, რომლებიც ეხება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას, სახალხო მეურნეობის გამოყვანას დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან, ეკონომიკიდან ადამიანისაკენ მიმდინარე დაწყებული შემობრუნების გაღრმავებას. ბუნებრივია, რომ ეკონომიკური რეფორმა მოითხოვს მთელი რიგი ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას, რომლებიც განამტკიცებენ ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით გაშლილ ძნელ და მასშტაბურ მუშაობას, შეუქმნიან მას საიმედო სამართლებრივ ბაზას.

ყრილობაზე გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ 1990 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991-1995 წლებისა და 2005 წლამდე პერიოდის ხუთწლიანი გეგმის კონცეფცია და ძირითადი მიმართულებანი უნდა ემყარებოდეს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის რეალისტურ ანალიზს. ასეთი ანალიზი მოცემულია წინადადებებში, ბევრმა სახალხო დეპუტატმა რომ გამოთქვა ეკონომიკის გაჯანსაღების შესახებ, რისთვისაც, მათი აზრით, უნდა შეიცვალოს საინვესტიციო პოლიტიკა, მკვეთრად შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, თავდაცვის ხარჯები, შემუშავდეს თავდაცვითი მრეწველობის კონვერსიის პროგრამა, აღმოიფხვრას მონოპოლიური მოვლენები, აგრეთვე განხორციელდეს ეკონომიკური, საფინანსო და საორგანიზაციო ხასიათის სხვა მომწიფებული ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დავძლიოთ ნეგატიური პროცესები ეკონომიკაში.

ამ ღონისძიებათა განხორციელების მთავარი მიმართულებანი ყრილობის დადგენილებებშია დაფიქსირებული. აღნიშნული დოკუმენტის დებულებების, აგრეთვე იმ შენიშვნების გათვალისწინებით, დეპუტატებმა რომ გამოთქვეს უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მთავრობის წევრთა დამტკიცებისას, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო დასახული პროგრამის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას.

იგი უდავოდ იქნება დაკავშირებული არა მარტო ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის განხილვასთან, არამედ, აგრეთვე საკანონმდებლო ბაზის შექმნასთანაც ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად და ეკონომიკის სფეროში სხვა რადიკალური გარდაქმნების მოსახდენად.

ამასთან დაკავშირებით, როგორც გახსოვთ, ჩვენ გვაქვს ყრილობის დავალება მოვამზადოთ ერთიანი კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთიანი კანონის მიღებამდე (ამას კი, ალბათ, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება) მოგვიწევს ზოგიერთი შესწორებისა და დაზუსტების შეტანა მოქმედ აქტებში სახელმწიფო საწარმოსა და კოოპერაციის შესახებ.

გარდა ამისა, ჩვენ უთუოდ უნდა დავაჩქაროთ მთელი რიგი ახალი, ასე ვთქვათ, ამოსავალი კანონების პროექტების მომზადება. ამას სწორად მიაპყრობენ ყურადღებას მთელი რიგი დეპუტატები და ჩვენი კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარენი. ასეთ კანონთა შორის ისინი ასახელებენ კანონებს იჯარისა და საიჯარო ურთიერთობის შესახებ, სსრ კავშირში ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ, რესპუბლიკური და რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის შესახებ, ადგილობრივი მეურნეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და, პირველ რიგში, კანონს საკუთრების შესახებ. უამისოდ, ბევრი დეპუტატისა და მეცნიერის აზრით, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ხელშემწყობი სხვა საკანონმდებლო აქტების მომზადებას და მიღებას ორჭოფული, დროებითი ხასიათი ექნება.

რატომ ვლაპარაკობთ ამ აქტებზე? იმიტომ, რომ სწორედ ისინი დაგვაძლევინებენ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებენ რეფორმას, არ გვანებებენ მისი შემოქმედებითი საწყისების ხორცშესხმას, გზას უხშობენ ბევრ ღონისძიებას რეფორმის განსახორციელებლად. ჩვენ ყველგან უნდა გავუხსნათ გზა ადამიანთა ინიციატივას, ვაგრძნობინოთ მათ თავი წარმოების ნამდვილ ბატონპატრონებად, დავამკვიდროთ და განვავითაროთ პოზიტიური ცვლილებანი სახალხო მეურნეობაში.

ისე გვესახება, რომ აღნიშნული კანონები შეადგენს დოკუმენტების ერთიან კომპლექსს, რომლებშიც კონცენტრირებული იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხების გადაწყვეტა, რომელთა მიზანია დაჩქარებული წინსვლა ახალი სამეურნეო მექანიზმის შექმნის, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის გზაზე.

უაღრესად საჭიროა აგრეთვე განახლდეს საკანონმდებლო აქტები მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ. ბევრი დეპუტატი თანაც არა მარტო აგრარიკოსი, სწორს ამბობს: არაფერი გაგვაჩნია იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ჩვენი საერთო მიწა. მას უნდა ვიყენებდეთ თადარიგიანად და ეფექტიანად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.. უმთავრესად ამას უნდა ემსახურებოდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი მიწის კანონმდებლობა.

ამჟამად აღნიშნულ პროექტებს ძირითადად მთავრობის ორგანოები (შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებათა მონაწილეობით) ამუშავებენ, მაგრამ ეს დოკუმენტები თანდათან გადმოვა აქ, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ამიტომ ექვსი კომიტეტი და კომისია გვთავაზობენ შევავსოთ თქვენთვის დარიგებული პროექტის მე-4 პუნქტი, და აღვნიშნოთ ამ პუნქტში, რომ მთავრობამ სახალხო დეპუტატთა მონაწილეობით უნდა მოამზადოს და შემოიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად:

უპირველესი წესით — პროექტები კანონისა საკუთრების შესახებ და კანონისა სსრ კავშირში იჯარის და საიჯარო ურთიერთობის შესახებ;

პროექტები კანონებისა სსრ კავშირში ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ, აგრეთვე „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების)" კანონში და „სსრ კავშირში კოოპერაციის" კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

წინადადებანი მიწისა და მიწათსარგებლობის საკანონმდებლო აქტების განახლების შესახებ.

როგორც იცით, ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი კანონპროექტი არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ისინი თქვენთვის ცნობილია და შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის დღის წესრიგში.

მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხებზე. აქ ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტმა პალატების შესაბამის კომისიებთან, აგრეთვე რესპუბლიკურ ორგანოებთან უმჭიდროესი კონტაქტით უნდა იმუშაოს.

ამ რთული პრობლემების გადაჭრის თავისებურ ექსპერიმენტულ მოდელად შეიძლება გამოვიყენოთ გარკვეულწილად საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემოტანილი წინადადებანი, რომლებიც ლიტვის სსრ და ესტონეთის სსრ უმაღლესმა საბჭოებმა შემოგვთავაზეს 1990 წლიდან რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესახებ. კომიტეტები და კომისიები უკვე მეორე კვირაა განიხილავენ ამ საკითხებს და ითვალისწინებენ, რომ შემოტანილ წინადადებებზე დასკვნები წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის განსახილველად.

ამასთან ჩვენ, ბუნებრივია, ვერ შემოვიფარგლებით მარტოოდენ ახალი კანონების შემუშავებითა და მიღებით. ჩვენი კომიტეტებისა და კომისიების გეგმებით გათვალისწინებულია თანამიმდევრულად განხორციელდეს უმაღლესი საბჭოს საკონტროლო ფუნქციები. მათ განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესონ მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უკავშირდება სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციას, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის უზრუნველყოფას, აგრეთვე ჩვენი ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის ბევრ სხვა უბანს.

ამავე ჯგუფს მჭიდროდ ეკვრის კიდევ ერთი **პრობლემათა ბლოკი**. როგორც გახსოვთ, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე არაერთგზის აღინიშნა, რომ მშრომელები მოელიან არა მარტო სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, არამედ აგრეთვე მათი დღევანდელი, ყველაზე მწვავე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ბინით, ხარისხოვანი სამედიცინო მომსახურებით, მოსახლეობის ხელმოკლე ნაწილის — პენსიონერების, ინვალიდების, მარჩენალდაკარგული, წვრილშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორ მოვიქცეთ? ყრილობამ გაგვცა პასუხი: უნდა გადავწყვიტოთ, უწინარეს ყოვლისა, პენსიების მომატების საკითხები. ეს საკითხები ყველაზე სრულად აისახება საპენსიო უზრუნველყოფის ახალ კანონში. მისი შემუშავება უნდა დაჩქარდეს. და როგორც ნ. ი. რიჟკოვის გამოსვლიდან იცით, მას მიმდინარე წლის ოქტომბერში წარმოუდგენენ განსახილველად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

ამასთანავე, ბევრი პრობლემა უნდა გადაიჭრას უკვე 1990 წლის 1 იანვრამდე, როგორც ეს ყრილობამ განსაზღვრა. ამიტომ ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ღონისძიებების გეგმაში, რომელსაც მინისტრთა საბჭო უმაღლეს საბჭოს წარმოუდგენს, უნდა აისახოს ისეთი უპირველესი ნაბიჯები, როგორიცაა:

— მოხუცებულობის მინიმალური პენსიების, აგრეთვე მინიმალური პენსიების მომატება I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებისა და მშობლებისათვის;

— დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებისათვის მედიკამენტების უფასოდ შეძენის, აგრეთვე შიდასაქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლების მინიჭება ომის მონაწილეებისა და პირებისათვის, რომლებიც დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში თავდადებული შრომის გამო;

— პენსიების გადახდის შეზღუდვების მოხსნა მუშებად და ოსტატებად მომუშავე პენსიონერების, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყველა ინვალიდი პენსიონერისათვის, შრომის ანაზღაურების ოდენობის მიუხედავად.

სულ რამდენიმე დღის წინ უმაღლესმა საბჭომ მთავრობას დაავალა უკვე მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შემოიტანოს წინადადება ხელმოკლე კატეგორიების პენსიონერთა პენსიების მომატების უპირველეს ღონისძიებათა შესახებ.

როგორც იცით, დასახულია აგრეთვე ამოცანა გავაანალიზოთ შეღავათებისა და პრივილეგიების დამკვიდრებული სისტემა და უზრუნველვყოთ მაქსიმალური საჯაროობა მათთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვაში. წინადადებანი უმაღლესი საბჭოს იმ კომისიის შემადგენლობის შესახებ, რომელსაც დაევალება ამ საკითხის შესწავლა, მომზადებული და მოწონებულია კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარეთა 15 ივლისის თათბირზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მთელი რიგი დავალებანი ეხება ჩვენს ქვეყანაში ქალის მდგომარეობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტის შემუშავებას. მათ შორის ოჯახის, დედათა და ბავშვთა, ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, საოჯახო მეურნეობისა და ყოფის უზრუნველყოფის საკითხთა გადაწყვეტას. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია შექმნას თავისთან ქალების საქმეთა დამოუკიდებელი განყოფილება.

დიდ ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას იძენს საერთო-სახელმწიფოებრივი ეკოლოგიური პროგრამის მომზადება, რომელშიც შევა გარემოს გაჯანსაღების როგორც პირველი რიგის, ისე გრძელვადიანი ღონისძიებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოლოგიური უბედურების ზონებს, რაზეც ძალზე მწვავე სჯა-ბაასი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყრილობაზეც და სესიაზეც.

ჩვენს წინაშე დასახული პრობლემების შემდეგი ბლოკი აერთიანებს კანონპროექტების სერიას, რომლებიც ეხება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საქმიანობას, ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის წესს.

საქმე ეხება ისეთი კანონების პროექტების შემუშავებას, როგორიცაა:

— სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ (რომლის პირველი ვარიანტი უკვე გვაქვს);

— ამომრჩეველთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განაწესების შესახებ;

— სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ;

— სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისათვის დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

ამავე დროს საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტს სხვა კომიტეტებთან და პალატების მუდმივ კომისიებთან ერთად ეძლევა დავალება მოამზადოს და უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ყოველწლიური განახლების წესის შესახებ.

დისკუსიამ ყრილობაზე ცხადყო, რომ სულაც არა აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა საპროცედურო საკითხებს. ამიტომ უნდა შევიმუშაოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ზუსტი რეგლამენტი, უაღრესად გულდასმით განვიხილოთ იგი კომიტეტებსა და კომისიებში, შემდეგ კი განსახილველად წარვუდგინოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას, მეცნიერებმა უკვე მოამზადეს ამ დოკუმენტის პროექტის პირველი, საკმაოდ ვრცელი ვარიანტი.

აქვე შევნიშნავ, რომ ნაკლები მნიშვნელობა როდი ექნება კომიტეტებისა და კომისიების მიერ თქვენს განსახილველად მომზადებული კანონების პროექტებისა და კანონების მიღების შესახებ წინადადებების უმაღლეს საბჭოში წარდგენისა და მათი განხილვის დროებით წესებს. დეპუტატთა მიერ ამ დოკუმენტის მოწონება შესაძლებლობას მოგვცემს ჯერ კიდევ რეგლამენტის მიღებამდე უფრო მკაფიოდ და თანამიმდევრულად ვიმუშაოთ კანონმდებლობაზე.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავება აუცილებლად მოითხოვს მთელი რიგი კანონების მიღებას, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს ეხება. ესეც **საკითხთა განსაკუთრებული ჯგუფია**. საქმე ეხება კანონთა პროექტების მომზადებას:

— პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ;

— სსრ კავშირში მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ;

— სსრ კავშირის პროფესიული კავშირების უფლებების შესახებ;

— სსრ კავშირში ახალგაზრდობისა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ;

— სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ.

14 ივლისს აქტების ამ ნუსხას შეემატა კიდევ ერთი პროექტი. ეს არის მთავრობისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ შემოტანილი კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის წესის შესახებ კანონის პროექტი.

ამასთან დაკავშირებით დიდი ტვირთი ეკისრება კანონმდებლობის კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს. გარდა ამისა, მან უნდა განიხილოს საკითხიც, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ბრძანებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობის წესის შესახებ და ბრძანებულება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოვალეობებისა და უფლებების შესახებ, და წარმოუდგინოს თავისი დასკვნები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ დადგენილ ვადებში ჩვენ უნდა შევიმუშაოთ კანონების პროექტებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას.

სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად დეპუტატებმა უნდა შეიმუშაონ წინადადებანი, რომელთა მიზანია დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცება, მოქალაქეთა უშიშროების გარანტიების გაძლიერება, აგრეთვე კორუფციის, ორგანიზებული დამნაშავეობის, დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სასამართლოების, არბიტრაჟის, პროკურატურის, გამოძიების, მილიციის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განმტკიცება, მათი მუშაკების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ მოქალაქეთა უფლებების შესახებ ახალი კანონების შექმნა და მოქმედთა განახლება ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სულ უფრო შესამჩნევი მიმართულება ხდება.

ეს პირდაპირ გამომდინარეობს ჰელსინკის შეთანხმებებსა და ვენის შეხვედრის მორიგებებში, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივ პაქტებში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობიდან. აქ ბევრი სამუშაო გვექნება. მას შეიძლება აქტიურად შეუერთდნენ არა მარტო შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებიც, აგრეთვე მისი პალატების კომისიები.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ წამოაყენა ეროვნული პოლიტიკის პრინციპული განახლების ამოცანა. აქედან გამომდინარეობს პრობლემების შემდგომი ბლოკი, ძნელი, მტკივნეული პრობლემების ბლოკი, რომლებიც ეროვნებათშორის ურთიერთობაში დაგროვდა.

აქ გულდასმით უნდა შევიმუშაოთ საბჭოთა ფედერაციის კარდინალური სრულყოფის, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებებისა და ავტონომიების უფლებამოსილების განმტკიცების, საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში საბჭოთა ერებისა და ეროვნებების თავისუფალი განვითარების საკითხთა მთელი კომპლექსი.

საქმე ეხება ისეთი პოლიტიკური და საკანონმდებლო მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ და სამართლიან მიდგომას ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებისადმი, მის გაჯანსაღებას სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების საწყისი პრინციპების ბაზაზე.

რა თქმა უნდა, ეს მთელი უმაღლესი საბჭოს, ყველა მისი ორგანოს ამოცანაა. და მაინც, აქ წამყვანი როლი უნდა ეკუთვნოდეთ ეროვნებათა საბჭოსა და მის კომისიებს. შესაბამისი რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან ერთად მან:

— უნდა შეიმუშაოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნის კრიტერიუმები;

— შეიტანოს წინადადებანი ყრილობაზე აღძრულ საკითხებზე ვოლგისპირეთის გერმანელთა, ყირიმელ თათართა, მესხეთელ თურქთა უფლებების აღდგენის, მცირერიცხოვან ეროვნებათა განვითარების შესახებ;

— განიხილოს საქმის ვითარება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში.

როგორც მოგეხსენებათ, შესაბამისი სადეპუტატო კომისიები ამ საკითხებზე ახლახან შექმნა ეროვნებათა საბჭომ.

პრობლემების შემდეგი ბლოკი მჭიდროდ არის დაკავშირებული წინასთან. და აი, რატომ.

ფედერაციის განვითარების, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცების, ავტონომიების სტატუსის ამაღლების მომწიფებულ საკითხებს შორის უნდა გადავწყვიტოთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოს პრაქტიკული გარდაქმნის ბევრი ამოცანა. ყრილობამ ზუსტი დირექტივები მოგვცა ამ მუშაობის გაშლისათვის.

კალმა რომ თქვას, მაინც, რა გვინდა? გვინდა — და ეს ითქვა ჯერ კიდევ XIX პარტიულ კონფერენციაზე — მკვეთრი შემობრუნება ადგილობრივი საქმეების ხელმძღვანელობისაკენ მოქალაქეთა თვითმმართველობის პრინციპებზე, მათი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარების, ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დემოკრატიული მოძრაობების აქტიური მონაწილეობის პირობებში.

ამ ამოცანების გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ, რომლის პროექტს მალე წარვუდგენთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. და მეტად სასარგებლო იქნება, რომ ამ პროექტზე მუშაობაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების მუშაობის საკითხთა და კანონმდებლობის საკითხთა კომიტეტებმა, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა მუდმივმა კომისიამ.

ამასთან ამ პროექტის მომზადება, ალბათ, უნდა ვაწარმოოთ სსრ კავშირის იმ კანონის მომზადებასთან ერთად, რომელმაც უნდა დაამკვიდროს მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური სფეროსადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა.

საკითხთა კიდევ ერთი ბლოკი, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ, დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან, ამ მუშაობის საწყისი პრინციპები ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ყრილობის წერილში მსოფლიოს ხალხებისადმი.

უმაღლესი საბჭო და მისი ორგანოები მოწოდებული არიან ყოველი ღონე იხმარონ, მათ შორის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის ხაზით, რომ გარდაქმნის, განახლების, საჯაროობის პროცესები მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის ჰუმანიზაციის შემადგენელი ნაწილი გახდეს.

კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან, მიმდინარე და პერსპექტიული ხასიათის პრობლემებთან ერთად საზღვარგარეთ მივლინებული საბჭოთა სახელმწიფო და საპარლამენტო დელეგაციების ანგარიშების მოსმენასთან ერთად, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ საკითხსაც, რომელიც დრამატული ტონალობით ჟღერდა ყრილობაზე. მხედველობაში მაქვს ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტს დავალებული აქვს პოლიტიკური შეფასება მისცეს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შესახებ თავის დროზე მიღებულ გადაწყვეტილებას და უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ თავისი დასკვნები მოახსენოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას.

და ბოლოს, საკითხთა უაღრესად მნიშვნელოვანი ჯგუფი. საარჩევნო კამპანიის დროს, შემდეგ კი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა თავიანთი ამომრჩევლების მრავალი წინადადება და განაწესი მიიღეს.

მოქალაქეთა 141 ათასზე მეტი წერილი, დეპეშა, მიმართვა მიიღო თვით ყრილობამ. უშუალოდ სახალხო დეპუტატებმა სახელმწიფო ორგანოებში გაგზავნეს ასობით შეკითხვა და მიმართვა. ბევრი მიმართვა (ყრილობის პრეზიდიუმისა და სამდივნოს გადაწყვეტილებით) გაეგზავნათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მის კომიტეტებს და პალატების მუდმივ კომისიებს. ახლა ყრილობაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული ყველა ეს წინადადება გულდასმით უნდა გავაანალიზოთ და გავითვალისწინოთ საკანონპროექტო მუშაობაში, აგრეთვე იმ სხვა საკითხების მომზადების დროს, რომლებიც განეკუთვნება შესაბამისი კომიტეტების, კომისიების, თანამდებობის პირთა განმგებლობას.

ალბათ, სწორი იქნება, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი კონტროლს დაუწესებენ დეპუტატების მიერ გამოთქმული ყველა არსებითი წინადადების განხილვას.

ასეთია, ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც ჩამოყალიბებულია „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებათა შესრულებისათვის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ" დადგენილების პროექტში.

როგორც გუშინ აღნიშნა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა, სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობამ დასაბამი მისცა იდეების, პროექტებისა და გეგმების სფეროდან პოლიტიკური რეფორმის პრაქტიკის სიბრტყეში, ცხოვრებისეულ რეალობაში გადატანას.

ეს პრაქტიკული მუშაობა ძალების დიდ დაძაბვას, კომიტეტებისა და კომისიების, ყველა დეპუტატის საქმიანობაში დიდ ორგანიზებულობას მოითხოვს. ეს გასაგებიცაა, რადგან პირველი ეტაპის კვალდაკვალ, რომელიც დაკავშირებულია უმთავრესად უმაღლესი საბჭოს განმკარგულებელი ფუნქციების შესრულებასთან მისადმი ანგარიშვალდებული ორგანოების ფორმირებასთან, ჩვენ გვეწყება მეორე ეტაპი — ანალიზური მუშაობით გაღრმავებული კანონშემოქმედების ეტაპი.

თუ პირველი ეტაპი (თუმცა იგი რამდენადმე გაჭიანურდა კიდეც) დეპუტატთა კორპუსის მიერ ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების პრობლემათა უფართოესი დიაპაზონის ათვისების პერიოდი იყო, ახლა დეპუტატები უნდა ჩაებან იმ ძნელ და ფაქიზ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის ნება-სურვილს ხორცი შეასხას სამართლებრივი ნორმებით, კანონის მკაცრი ფორმულებით.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს ამ შემოდგომაზე გეგმისა და ბიუჯეტის განხილვა.

და ბოლოს, ალბათ, სულ უფრო აქტიურად განხორციელდება უმაღლესი საბჭოს ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია მის წინაშე ყველა ანგარიშვალდებული ორგანოს მუშაობისადმი დიდ კონტროლთან, მთავრობისა და მინისტრების ინფორმაციების, დეპუტატთა შეკითხვებისა და კითხვების მოსმენასთან.

ამასთან, როგორც ჩანს, შეიცვლება კომისიებში, კომიტეტებში და პალატების სხდომებზე დეპუტატთა მუშაობის შეფარდება. ვფიქრობ, რომ კომისიებისა და კომიტეტების წილმა უნდა შეადგინოს ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის საერთო მოცულობის სულ ცოტა ორი მესამედი. სწორედ აქ უნდა მუშავდებოდეს დეტალურად თითოეული საკითხი. მაშასადამე, იმაზე, თუ როგორ დაიგეგმება კომიტეტებისა და კომისიების მუშაობა, როგორ წარიმართება იგი, დიდად იქნება დამოკიდებული საქმის წარმატება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი კომიტეტებისა და კომისიების გეგმების თავდაპირველი მონახაზების გაცნობა ცხადყოფს, რომ მათ ყველას საერთო საზრუნავი აერთიანებთ: დამოუკიდებლად თუ ერთობლივად მოამზადონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში განხილვისათვის კარგად დამუშავებული კანონპროექტები და წინადადებები. ამავე დროს თითოეულ კომიტეტსა და კომისიას, რამდენადაც [illegible] თავისი სპეციფიკა აქვს.

თუ ავიღებთ **სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მართვისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტს**, აქ ახლა მიმდინარეობს სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ კანონის პროექტის ინტენსიური მომზადება. ამავე დროს ამ კომიტეტმა თავის პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში იმ ნორმებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება, რომელთა შეტანა ნავარაუდევია კანონპროექტში. ამ მიზნით გათვალისწინებულია — ადგილზე გამგზავრებით — შევისწავლოთ მოსკოვის მთელ რიგ მიკრორაიონებში, აგრეთვე რამდენიმე სასოფლო რაიონში საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკა.

კონტროლის წესით გათვალისწინებულია მოვისმინოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლ. ა. ვორონინის ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესახებ.

მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და აღზრდის კომიტეტი აპირებს მოისმინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობა მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების მიზნით მომავალი წლისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა შესახებ. იგი აპირებს აგრეთვე განიხილოს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის კინოსა და ტელევიზიის საკავშირო ცენტრის ორგანიზაციის საკითხი (ამისათვის პასუხისმგებელია როლანდ ბიკოვი).

გარდა ამისა, ჩაფიქრებულია სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით საფუძვლიანად გავერკვეთ საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმეთა მდგომარეობაში, აგრეთვე ეროვნული სკოლების ეროვნულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებით მომარაგების საკითხში (ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს დეპუტატებმა დ. ლიხაჩოვმა და ნ. ვორონცოვმა).

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი კონტროლს უწესებს მომავალი წლისათვის ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტის ფორმირებას. შევისწავლით სპორტული დანიშნულების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, აგრეთვე სახელმწიფო პროგრამის „ჯანმრთელობის" ფორმირების საკითხს.

ანუ აქაც, როგორც ვხედავთ, პრაქტიკული სიბრტყისაკენ ვიხრებით.

პრაქტიკული თვალსაზრისით არის აგებული **ქალების, ოჯახის დაცვის, დედისა და ბავშვის საქმეთა კომიტეტის** გეგმა. ამ კომიტეტის წევრები აპირებენ მოისმინონ მთელი რიგი უწყებების ინფორმაციები, შეაგროვონ მასალები „ოჯახი", „დედობა", „შუა აზია", „ქალები" პროგრამების მიხედვით.

ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტი სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარე საკითხების გარდა აპირებს განიხილოს ისეთი დიდი პრობლემური საკითხები, როგორიც არის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამისა და ქვეყანაში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საკითხი. გარდა ამისა, კომიტეტის წევრები (ასეთ განზრახვას უნდა მივესალმოთ) ჩავლენ ადგილებზე, განსაკუთრებით ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მწვავე რაიონებში, ვითარების შესასწავლად და შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად.

ანალოგიური — მათ შორის რაღაცით მსგავსი, რაღაცით კი განსხვავებული — გეგმები აქვთ უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებსა და პალატების მუდმივ კომისიებს.

ამაში კიდევ ერთხელ ვლინდება უმაღლესი საბჭოს ის როლი, რომელიც მას დააკისრა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ, ყრილობის მიერ დასახული პოლიტიკური გეზის დირექტივების გამტარებლის როლი.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მასში გაერთიანებული დეპუტატები იმ პასუხსაგები მისიის სიმაღლეზე იქნებიან, რომელიც დააკისრა მათ საბჭოთა ხალხმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

(გაგრძელება)

უბლიკებში არჩევითი კანონმდებლობის შემუშავების საძირკველი, აგრეთვე ხელს უწყობდეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის უკეთ მომზადებას.

დეპუტატმა **მ. ა. ბოჩაროვმა** ყურადღება მიაქცია იმას, რომ დაუყოვნებლივ უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის და კოოპერაციის შესახებ კანონის შესწორებანი, აგრეთვე გადაიჭრას მოსახლეობის ხელმოკლე ფენების პრობლემები. ამასთან, თქვა მან, მინიმალური პენსიებისა და დახმარების მომატებასთან დაკავშირებული საკითხი უკვე ახლა უნდა განვიხილოთ, და არ დაველოდოთ ადრე გამოცხადებულ ვადას.

ორატორი შეეხო ისეთ პრობლემას, როგორიც არის დეპუტატთა კომიტეტებისა და კომისიების მუშაობის ორგანიზაცია. მან აღნიშნა, რომ მთავრობის განხილვისა და დამტკიცებისას სესიამ ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმია თვით პარლამენტის ფუნქციონირებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და აპარატის ურთიერთობისათვის.

დეპუტატმა **კ. დ. ლუბენჩენკომ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა უნდა განხორციელდეს უკვე ახლა სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად. იგი თავის გამოსვლაში შეეხო იმ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ კანონს, რომლებიც ლახავენ მოქალაქეთა უფლებებს.

აქ, დეპუტატის აზრით, ცენტრალური პუნქტია პიროვნების უფლებათა დაცვა არა ამა თუ იმ თანამდებობრივ პოსტზე მყოფი პიროვნებებისაგან, არამედ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაგან, რომელიც ქმნიდა უუფლებობის კლიმატს. ამასთან დაკავშირებით ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ დადგენილების პროექტში შეიტანონ პუნქტი ან დაავალონ კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს, შეიმუშაოს და შეიტანოს დამატებანი და ცვლილებანი დასახელებულ კანონში. დეპუტატის აზრით, საჭიროა სასამართლო დაცვა გავრცელდეს იმ პირთა მიმართ, რომელთა უფლებები შელახულია კოლეგიური ორგანოების მოქმედებით, აგრეთვე გაუქმდეს ან მოწესრიგდეს ნუსხები, რომლებიც გამორიცხავს მოქალაქეთა ძალიან ფართო წრისათვის შესაძლებლობას თავიანთი უფლებების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.

ყველა კანონპროექტი, რომლებიც უნდა განვიხილოთ, საჭიროა დაექვემდებაროს მხოლოდ დიალექტიკის კანონებს, ეკონომიკის კანონებს, და არა იმ იდეოლოგიურ კონცეფციებს, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში გვიჩიჩინებდნენ, განაცხადა დეპუტატმა **ვ. ი. ვოსკობოინიკოვმა**. მარტო ყველა ჩვენგანის შინაგანი თავისუფლება, განაგრძო მან, იმ კომპლექსებისაგან განთავისუფლება, რომლებიც ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი, მოგვცემს საშუალებას მივიღოთ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არსებითად გააუმჯობესებს გარდაქმნის საქმეს.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ ერთ დროს ბევრს ლაპარაკობდნენ გარდაქმნისათვის ხალხის ნდობის კრედიტზე. დღეს ჩვენ ვხედავთ, თქვა მან, რომ ეს ნდობის კრედიტი ილევა. კუზბასის მაგალითი, დონბასის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადამიანთა მოთმინების ფიალა ივსება. ასეთ პირობებში საჭიროა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები. საჭიროა არა სანახევრო ღონისძიებანი, არამედ ნამდვილად გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა არსებითად დაჩქარდეს ის პროცესები, რომლებიც განვიზრახეთ და ვცდილობთ განვახორციელოთ. თუ კვლავაც სანახევრო ღონისძიებათა გზით ვივლით, ნდობის კრედიტი გაქრება არა მარტო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი, არამედ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსადმიც.

სხდომის თავმჯდომარემ ე. მ. პრიმაკოვმა დამსწრეთ გააცნო სესიის მუშაობის შემდგომი წესი.

შემდეგ კამათში გამოვიდა დეპუტატი **ა. ვ. ხეჟენინი**. იგი შეეხო ყაზახეთში შექმნილ ვითარებას. თავის დროზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტით, თქვა მან, ხალხი კმაყოფილია. ახლა ბევრი რამ კეთდება ბინის საკითხის გადასაწყვეტად, სასურსათო მომარაგების, სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ერთი მუჭა უმადურები ცდილობენ მოშალონ სტაბილური ვითარება. დაე, ისინი, ვინც ეროვნულ შუღლს აღვივებს, მოვიდნენ მუშათა კოლექტივებში, საწარმოებში, ქარხნებში. ჩვენ ვასწავლით მათ ელემენტარულ ქცევას ადამიანთა ურთიერთობაში.

შეეხო რა გამოთქმულ ვარაუდს გაფიცვებზე რკინიგზელთა შესაძლო რეაქციის შესახებ, ორატორმა მკვეთრად გააკრიტიკა რკინიგზის სამინისტროს კოლეგიის სხდომის მონაწილეთა გამოსვლები, რომლებიც, მისი აზრით, წარმოადგენდა აშკარა მოწოდებებს მუშაობის შესაწყვეტად. მე არ მჯერა, თქვა მან, რომ სალოკომოტივო ბრიგადები უპასუხისმგებლო ადამიანებს აჰყვებიან.

ქვეყნის ამომრჩევლებს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა დეპუტატმა **ვ. ვ. ხმურამ**. მან მოუწოდა გამოიჩინონ საყოველთაო გონიერება და შეწყვიტონ გაფიცვა. გააანალიზა რა რთული ვითარების გამომწვევი მიზეზები მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ „ბევრნი მხოლოდ დადიან სამუშაოზე, მაგრამ არ მუშაობენ", აპარატი აბრკოლებს ადგილებზე გარდაქმნის იდეების რეალიზაციას, საკითხები არ წყდება და ეს დაძაბავს სიტუაციას.

ორატორმა მხარი დაუჭირა იმ წინადადებას, რომ საჭიროა უფრო მალე გადაწყდეს სოციალური საკითხები. მან მოუწოდა მიანიჭონ პრიორიტეტი სოფელს. ვინაიდან სწორედ იქ არის დაძაბულობის ერთ-ერთი წყარო — მოსახლეობის სასურსათო მომარაგების მდგომარეობის ლიკვიდაციის მთავარი რეზერვი.

დეპუტატი **კიმ ენ უნი** დაეთანხმა გამოსულთ, რომ მუშაობაში საჭიროა ხელი ავიღოთ სტერეოტიპებზე და ვიხელმძღვანელოთ დღევანდელი სიტუაციის მოთხოვნებით. მაგრამ არ შეიძლება მოვუწოდებდეთ შეგნების დეიდეოლოგიზაციას. ყველა პრაგმატულ ძიებაში, ხაზი გაუსვა ორატორმა, ამოსავალ ბაზად უნდა გვქონდეს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია.

შეეხო რა პრივილეგიების საკითხთა კომისიის მუშაობას, ორატორმა აღნიშნა, რომ იგი უნდა მოქმედებდეს ეფექტიანად და ოპერატიულად. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე უნდა შემუშავდეს ზუსტი რეკომენდაციები, რა შეღავათები გაუქმდეს, და რა შეღავათები დარჩეს. ეს აღელვებს ადამიანებს, ვინაიდან უშუალოდ უკავშირდება სოციალური სამართლიანობის საკითხებს.

კიმ ენ უნმა გამოთქვა აზრი, რომ პირველი კანონპროექტი, რომელიც უნდა განიხილონ, ეს არის ადგილობრივი საბჭოების კანონი, სწორედ ამ ბაზას უნდა დაეფუძნოს საზოგადოების განახლება, დასძინა დეპუტატმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიის სხდომა

19 ივლისს მოეწყო თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების კომისიის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ნ. იაკოვლევი. გაიმართა აზრთა გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს წინათ გამოქვეყნებული და კვლავ გამოვლენილი იმდროინდელი დოკუმენტებისა და მოვლენათა შემდგომ განვითარებასთან მათი კავშირის კვლევა.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ზუსტად და ობიექტურად უნდა შეფასდეს პრობლემის ყველა ელემენტი, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანების საფუძველზე.

(საკდესი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

დროებითი ღონისძიებების — მოსახლეობის ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების შედეგ ვითარება ქალაქ სოხუმსა და მთლიანად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში რამდენადმე სტაბილური გახდა, მაგრამ მაინც კვლავ რთულია: აქა-იქ ხდება შეტაკებანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით აფხაზი და ქართველი მოსახლეობის ჯგუფებს შორის.

შინაგან საქმეთა ორგანოებისა და შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფების ძალების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში გრძელდება პიკეტირება ტრასებსა და ხიდებზე, ავტომანქანების უკანონო ჩხრეკა, კანტი-კუნტი სროლა. კვლავინდებურად არ მუშაობს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა, არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება მხოლოდ მილიციის მუშაკთა თანხლებით.

ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის დარღვევისათვის ღამით დააკავეს 30 კაცი, რომლებიც შესაბამისი საბუთების გაფორმების შემდეგ გაუშვეს.

სისხლის სამართლის სამძებრო ოპერატიული მონაცემების რეალიზაციის დროს სოხუმის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, მიგდებული ჭიდან ამოიღეს 100 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, 130 ცალი დეტონატორი, 120 მეტრი ბიკფორდის ზონარი; ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ სოფელში — 4 ტანკსაწინააღმდეგო და ორი ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმი ავტომანქანიდან, რომლის მფლობელის ვინაობას ადგენენ.

18 ივლისს სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებას მიმართა განცხადებით მ. ლეთოდიანმა იმის შესახებ, რომ 17 ივლისს ქალაქ სოხუმში აფხაზური ეროვნების დაუდგენელმა პირებმა გააჩერეს მისი ავტომობილი და პისტოლეტის ტარი ჩაარტყეს თავში, მისი მგზავრი დ. მაისურაძე კი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს თავის არეში. ბოროტმოქმედები მიიმალნენ. მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა.

იმავე დღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში დაუდგენელმა პირებმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და 16 ვაზნა წაართვეს მილიციის სერჟანტს. ხორციელდება ზომები დამნაშავეთა დადგენისა და დაკავებისათვის.

18 ივლისს 01 საათსა და 35 წუთზე ქალაქ ოჩამჩირეში მდინარე ღალიძგას ხიდთან საგუშაგოზე ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა თბილისელი ო. ჟორჟოლიანი, აღმოაჩინეს და ჩამოართვეს ოთხი ხიშტიანი კარაბინი და 124 ვაზნა. მასთან ერთად მანქანაში იყო სოფელ ქოჩარის მცხოვრები რ. ჟორჟოლიანი.

იმავე რაიონის სოფელ ქოჩარაში 18 ივლისს 18 საათზე ზილ-130 ავტომანქანაში, რომელიც აძიუბჟის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის და მართავდა მძღოლი რ. აბუხბა — სოფელ აძიუბჟის მცხოვრები, აღმოაჩინეს და ჩამოართვეს 50 პაკეტი ამონალი, 9 ელექტროკაფსულა-დეტონატორი, 47 მეტრი ელექტროზონარი, მიმდინარეობს გამოძიება.

სულ 20 ივლისისათვის სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებათა შედეგად აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში ჩამორთმეულია 2108 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 64 ერთეული ლულაკუთხვილი, 214 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, 15 ხელყუმბარა, 5495 ვაზნა. პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მოსახლეობასთან შეიარაღებულ შეტაკებათა დაუყოვნებლივი შეწყვეტის, მილიციის ორგანოებისათვის იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების საჭიროების შესახებ.

დაზუსტებული მონაცემებით ავტონომიური რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის მიმართა 406 კაცმა, სტაციონარულად მკურნალობს 94 კაცი, მათგან 16 მძიმე მდგომარეობაშია. 17 კაცი დაიღუპა. დაჭრილთა შორის 31 მილიციის თანამშრომელია და შვიდი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების წარმომადგენელი.

მეტად დაძაბული ვითარება შეიქმნა ქალაქ ზუგდიდსა და ახლომდებარე რაიონებში, სადაც მასობრივად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ავტომანქანების უკანონო ჩხრეკითა და გატაცებით. აქვე შეიქმნა, ეგრეთ წოდებული „თავდაცვის შტაბი“, რომელიც მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას მოუწოდებს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

რამდენიმე ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში 10-დან ასამდე და ზოგჯერ მეტი შეიარაღებული კაცია, გატაცებული ავტომანქანებით ბანდიტურად ესხმის თავს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებსა და სხვა სახელმწიფო ობიექტებს. მათ ერთი მიზანი აქვთ — ხელთ იგდონ იარაღი. სულ 20 ივლისისათვის მოხდა 43 ასეთი თავდასხმა, მათ შორის 29 დასავლეთ საქართველოს რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოებზე. თავდასხმების გეოგრაფია ფართოვდება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს, რათა დაამყაროს წესრიგი ამ რეგიონში, ამხილოს და იზოლაციაში მოაქციოს დანაშაულებრივი ელემენტები, ამოიღოს იარაღი. ამისათვის არის საკმარისი ძალები და საშუალებები.

ერთხელ კიდევ მივმართავთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მშობლებს, რომელთა შვილები აჰყვნენ ჭორებს და სჩადიან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, რითაც საფრთხეს უქმნიან როგორც თავიანთ, ისე სხვის სიცოცხლეს. გააფრთხილეთ ახალგაზრდობა და არასრულწლოვანები. კმარა ამდენი მსხვერპლი და დასახიჩრებული ბედი!

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს რესპუბლიკის პარტიულ და კომკავშირულ აქტივს, მუშებსა და გლეხებს, ინტელიგენციას, მთელ მოსახლეობას გამოიჩინონ თავშეკავება და სიმშვიდე, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მილიციას რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.

„შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველაფერი კარგად ორგანიზებული იყო“

ჩვენი „აფხაზეთი“ თბილისის აეროპორტშივე დაიწყო, როდესაც ჟურნალისტთა ჯგუფს თვითმფრინავში შეიარაღებული მილიციელების რაზმი შემოგვიერთდა. საქართველოს სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს მუშაკები აღმოჩნდნენ, სოხუმის რკინიგზის კვანძის დასაცავად ვართ მივლინებულიო, მოკლედ დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა უფროსმა ლეიტენანტმა გურამ გვაზავამ. ფრენის მთელი დროის მანძილზე ხმა არავის ამოუღია. ყველა თავის საფიქრალს მისცემოდა.

რა უნდა იყოს ივლისის სოხუმზე უფრო მშვენიერი, მაგრამ სულ სხვანაირია წლევანდელი ივლისი აფხაზეთის დედაქალაქში. ქუჩებში კანტი-კუნტად მოჰკრავთ თვალს მსუბუქ ავტომანქანას; უფრო იშვიათად — ადამიანს, განსაკუთრებით გარეუბანში, ცენტრში კიდევ ჰა და ჰა, ცოტა მეტი ხალხია, მათ შორის „გაჩხერილი“ დამსვენებლები ჭარბობენ, თორემ ადგილობრივებს სანაპიროდ და სალაღობოდ არც სცალიათ და არც სურვილი აქვთ.

დაკეტილი მაღაზიები, საწარმოები და ორგანიზაციები, ჩამკვდარი გასართობი და კულტურული დაწესებულებები მძიმე სურათს ქმნის. ამას პალმების ფონზე მდგარი ჯავშანტრანსპორტიორები და შინაგანი ჯარების ავტომატიანი პატრულები ემატება...

პირველ ყოვლისა, იმ საბედისწერო დღის მთავარ სასაკლაოს — ლაკობასა და პუშკინის ქუჩების გზაჯვარედინზე მდებარე რუსთაველის სახელობის პარკს მივაშურეთ. 15 ივლისს შუადღისას სწორედ აქ მოხდა თავდასხმა ქართველ მოსახლეობაზე, რამაც ბიძგი მისცა შემდგომ მოვლენებს. შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეწყდა ამ ყვავილებითა და ჩრდილით სავსე მშვენიერ პარკში, რომელიც ოდითგან პაემანზე მოსული ახალგაზრდებისა და პოეტების საყვარელი ადგილი იყო. მარმარილოს ხრეშით მოფენილ ბილიკებს დღეს აღარ აჩნია სისხლი, მაგრამ ავბედითი ხსოვნა მაინც ყველაფრით გაგრძნობინებს თავს.

დამრბევები აქ პუშკინის ქუჩიდან დაეშვნენ, მათმა წარმოსახვითმა ნაკვალევმა ენგელსის ქუჩაზე მდებარე რუსთაველის სახელობის პირველ ქართულ საშუალო სკოლამდე მიგვიყვანა.

ჩარჩოებიანად დალეწილი ფანჯრები დამრეტილი თვალებით მწუხარედ გასცქერის ენგელსის ქუჩას, რომლის ბოლოშიც, სულ რაღაც კილომეტრზე, სანაპირო და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობაა, მანამდე კი ასიოდე მეტრზე აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტია.

დღეს, ჩვენს განათლებულ საუკუნეში, იშვიათად შეიძლება იხილო რბევის ისეთი საშინელი სურათი, პირველი სკოლის შენობაში რომ დაგვხვდა. ამის წარმოდგენა ძნელია, ეს უნდა ნახო! დალეწილი ინვენტარი, დაჩეხილი კარები, დამტვრეული მოწყობილობა-დანადგარები, დაფხრეწილი წიგნები და ჟურნალები... შებილწულია ყველაფერი, რის პატივისცემასაც ბავშვობიდან გვინერგავენ, რასაც ვეთაყვანებით.

ნამუსრევში თავჩაქინდრული ყმაწვილიც შევნიშნეთ, ამ სკოლის მეათეკლასელს ვახტანგ ტაბატაძეს ცრემლით ავსებია თვალები, სექტემბერში სწავლა გვექნება? — ნიკაპი უკანკალებს ბიჭს.

სულ რაღაც ასიოდე მეტრზე კი...

აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ ხალხმრავლობაა. დასავლეთ საქართველოს რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ მივლინებულ მილიციის მუშაკებს. ფანჯრებჩამსხვრეულ „იკარუსში“ თვალებჩამოლამებული, დაღლილი ადამიანები სხედან, ისინი ოზურგეთის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები არიან, მათ ცაგერელ, სამტრედიელ თუ სენაკელ კოლეგებთან ერთად მიიღეს დარტყმა 15 ივლისს.

აი, რა გვიამბო რაზმის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ლაქვარდ ბოლქვაძემ:

სოხუმში 14 ივლისს ჩამოვედით და თითქმის ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახეთ. სკოლის შენობის დაცვა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიმღები კომისიის წევრები ჰყავდა ჩაკეტილი გარშემორტყმულ ხალხს, სიმბოლური ფორმალური ხასიათისა იყო. ფაქტობრივად არც მაშინ ულონიათ რამე, როდესაც შიგ შეცვივდნენ, შენობა დაარბიეს და იქ მყოფ ხალხს დაუნდობლად სცემეს. ენგელსის ქუჩით დაძრულ გააფთრებულ ტალღას, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ, ოზურგეთელი მილიციელები გადავუდექით, მივხვდით, რომ ისინი სწორედ რუსთაველის პარკისკენ მიდიოდნენ, სადაც ქართველები იყვნენ თავმოყრილი. შევაჩერეთ კიდეც, მაგრამ მალე მივხვდით, რომ ეს მანევრი იყო — ძირითადი ტალღა პუშკინის ქუჩით დაეშვა. შევბრუნდით და იქით გავიქეცით. უკვე საშინელება ხდებოდა. ძალღონე არ დაგვიშურებია ხალხის გადასარჩენად, მოჩხუბრები გავაშველეთ. მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო. ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ სროლა დაიწყო. ისროდნენ ეზოებიდან და ფანჯრებიდან სხვადასხვა იარაღს. სახეში ტყვიით დაგვიჭრეს კაპიტანი ემზარ ნადირაძე. მე-2 საავადმყოფოში მივიყვანეთ, რატომღაც მორიგე ექიმმა არ მიიღო და იძულებული გავხდით პირველ საავადმყოფოში გადაგვეყვანა. გზაში 50-60-კაციანმა ბრბომ გააჩერა „სასწრაფო დახმარების მანქანა“, სცემეს მძღოლს, ჩაამსხვრიეს მინები და მხოლოდ იარაღის მუქარით მოხერხდა თავის დაღწევა. იმ ღამით რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების კორპუსზე შეიარაღებული თავდასხმა მოეწყო, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველაფერი კარგად ორგანიზებული იყო და სცენარის მიხედვითაც წარიმართა.

ახლა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. გაჩერებულია საზოგადოებრივი და რკინიგზის ტრანსპორტი. თუმცა სოხუმის სადგურიდან მაინც გავიდა სამი სამგზავრო მატარებელი, რომლებშიც ძირითადად ქალები და ბავშვები ისხდნენ. სამაგიეროდ აქტიურად მოქმედებს სოხუმის აეროპორტი. დღის მანძილზე ადგილობრივმა ეკიპაჟებმა 16 რეისი შეასრულეს და 1600 მგზავრი წაიყვანეს. სანატორიუმებიდან, დასასვენებელი სახლებიდან, პანსიონატებიდან, პიონერთა ბანაკებიდან დამსვენებლებს დაცვის თანხლებით ამგზავრებენ აეროპორტამდე. სრული დატვირთვით მუშაობს საზღვაო ტრანსპორტიც.

სოხუმში უკვე საკმარისი რაოდენობით იყიდება პური, ავტომანქანის საწვავი.

გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში გრძელდება შეიარაღებული შეხლა-შემოხლა. კვლავ არის პიკეტირება გზებსა და ხიდებზე. ამის გამო, მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში, მდინარე მოქვის ხიდთან 100-მდე მანქანამ მოიყარა თავი და კარგა ხნით ჩაიხერგა გზა.

საგამომძიებლო ორგანოებმა აღძრეს 28 სისხლის სამართლის საქმე. 7 ფაქტზე შეგროვილი მასალა უკვე გადაეცა პროკურატურას.

დღეისათვის საავადმყოფოებში მკურნალობას განაგრძობს 94 კაცი.

ალეკო ასლანიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

იოსებ გოგიჩაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოხუმი, 20 ივლისი.

მისამღერით დაწყებული სიმღერა...

სოხუმში, გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტის ვლადილენ არსენიევის გაცნობისთანავე მასთან საუბარი ამ გაზეთში 18 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მისი მასალის არაობიექტურობის მიზეზის გარკვევით დავიწყე. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტმა თქვა: „ჩემი დაგვიანებული და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციებით შევეცადე პუბლიკაცია მომემზადებინა იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა შორის უფრო მეტი დაემთხვეოდა ერთმანეთს.

ასეთ სიტუაციაში, ალბათ, შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელიც მოვლენათა განვითარების აღწერის მაგივრად შუიდან იწყებს ყველაფერს ისე, სიმღერა რომ მისამღერით დაიწყო, როგორც ეს ჩემს პუბლიკაციაშია. მე ვერ მოვახერხე 15 და 16 ივლისს და მანამდე მომხდარი ამბების გაშუქება და მკითხველს პირდაპირ 17 ივლისის მდგომარეობა განვუმარტე. ესე იგი, ის დღე, როცა აფხაზები სოხუმიდან უკვე გახიზნული იყვნენ და მხოლოდ ქართველები დარჩნენ ჩემი პუბლიკაციის მთავარ მოქმედ პირებად. გაზეთ „იზვესტიის“ 20 ივლისის ნომერში შევეცადე გამომესწორებინა შეცდომა.

ვფიქრობ, ამის შემდეგ გაზეთ „იზვესტიას“ უფრო მეტი ზუსტი და ობიექტური მასალა ექნება, მით უმეტეს, რომ ამაში გარკვეულ დახმარებას თქვენი პრესცენტრიც გამიწევს“.

აკაკი სიხარულიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელი. სოხუმი.

რეპლიკა

20 ივლისს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა აფხაზეთში აკრედიტირებული სპეციალური კორესპონდენტის ვლ. არსენიევის მორიგი საინფორმაციო ცნობა „აფხაზეთი: შემოღებულია საგანგებო რეჟიმი“. საერთო მდგომარეობის, მოვლენების აღწერის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ „იზვესტიის“ 199-ე ნომერში დაბეჭდილმა წერილმა საქართველოს სსრ ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ ხსენებულ პუბლიკაციაში მოვლენებისადმი ცალმხრივი, ტენდენციური მიდგომა ამოიკითხეს, იქვე დასძენს, ამგვარი ინფორმაცია თბილისიდან ტელეფონით მივიღე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების მუშაკიდანო.

ერთაშორის გამწვავებული ურთიერთობის დროს, როცა თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და თანაც იგი სსრ კავშირის მრავალმილიონიანი მკითხველისთვისაა განკუთვნილი, დაუშვებელია სატელეფონო ინფორმაციაზე დაყრდნობა, მით უფრო, მოვლენათა ერთი რომელიმე კონკრეტული პირის პოზიციით შეფასება.

წერილები „კომუნისტს“

რას ფიქრობს ხალხი

აფხაზეთი მიყვარს თითქოს
ჩემი გულის ნაწილია,
მიყვარს მისი მზე და სითბო,
დარსაც ვეტრფი ქარ-წვიმიანს.

ეს ლექსი ჩემს საყვარელ ადამიანს, აფხაზეთის ცნობილ პოეტს ივანე თარბას ეკუთვნის, მაგრამ იგი სრულად გამოხატავს და მიესადაგება ჩემს დამოკიდებულებას აფხაზეთისადმი.

მე თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალბედა მსახიობი სოხუმის ქართულ თეატრში წავედი სამუშაოდ. მაშინ ისე სუსტი და ჰაეროვანი ვიყავი, არც კი იწამეს ჩემი მსახიობობა, არც კი დაიჯერეს, რომ უკვე 20 წლისა ვიყავი. ყველას აინტერესებდა როგორი მსახიობი ვიქნებოდი მე.

მაშინ ჩვენ, ქართული და აფხაზური თეატრები, ერთ შენობაში ვიყავით. ხშირად, როცა მსახიობები გვაკლდა, ქართულ წარმოდგენებში აფხაზი მსახიობები მონაწილეობდნენ. ერთი გვქონდა ჭერი, აზრი, მიზანი, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი!

იქ აფხაზეთში ვიგემე პირველი როლის სიხარული, პირველი შემოქმედებითი გამარჯვება. იქაური კეთილი ადამიანები დამეხმარნენ, რომ მე, ცხოვრებისგან დამფრთხალი, 1937 წლიდან უდედმამოდ დარჩენილი გოგონა — ფეხზე დავმდგარიყავი, თქვენგან მერგო პირველი ალტაცება, გულითადი ტაში, ულამაზესი ყვავილები. ყველა ამისათვის მთელი ცხოვრების სიყვარულად დამრჩა გულში აფხაზეთი და სოხუმი. ყველა ამისათვის უსაზღვროდ მადლობელი ვარ აფხაზეთისა.

ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ მე პირველი ქართველი მსახიობი ვარ, რომელმაც შევასრულე აფხაზი გოგონა კამას როლი გიორგი გულიას პიესაში „გაზაფხული საკენში“. მთის სოფლის საკენის მკვიდრი, სიცოცხლით სავსე გამჭრიახი გოგონას სახეში მე ჩავაქსოვე აფხაზებისადმი მოწიწება, სიყვარული: ავტორი გიორგი გულიაც კმაყოფილი იყო ჩემით და ეს მაშინ ძალზე მეამაყებოდა.

...დღეს ცოცხალი აღარ არის სახელოვანი პროფესორი სოკრატ არშბა, რომელმაც ორჯერ გამიკეთა ოპერაცია და სიცოცხლე შემინარჩუნა. აფხაზი არშბას ხელებს ჩემი ქართული სისხლი ეცხო, მაგრამ ის წმინდა სისხლი ჩვენი ძმობის საწინდრად იქცა. ამ სიყვარულის დასტური იქნება ჩემი ახალი წიგნიც, სადაც ბევრია აფხაზი და აფხაზეთში მომუშავე ხელოვანთა პორტრეტები.

დღეს კი რა შავი ღრუბელი ჩამოწვა ჩვენს საზიარო ცაზე, რა მოხდა? მინდა გავერკვე და არაფერი მესმის. აღელვებული, თვალცრემლიანი დავდივარ უმიზნოდ, უაზროდ, ყველას შევყურებ. მინდა რაიმე ახალი და კეთილი გავიგონო მაგრამ... ვაი რომ... ჯერ კიდევ არსებობს „მაგრამ“... არ მიყვარს ეს სიტყვა, ჩვენს შორის შავ ღრუბლად ჩამოწოლილი!

მალე ალბათ ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ვიდრე გაირკვეოდეს, სადა ხართ ჩემო კეთილო ადამიანებო? ჩემო მეგობარო აფხაზო ინტელიგენტებო?

სადა ხართ ჩემო ივანე თარბა, ეთერ კოლონია, მინადორა ზუხბა, შარახ და მირიცა ფაჩალიებო, აზიზ აგრბა, მიხეილ კოვე, ლეო კასლანძია?

როცა სოხუმში არ ვიყავი, თქვენი ნახვა მენატრებოდა და განა ისეთი რა ცოდვა მიმიძღვის თქვენს მიმართ, რომ ჩემი ჯიში, კეთილმეგობრობის ჯიში, ჯიში, რომელიც საუკუნეების მანძილზე გვერდით გედგათ — შეიძულეთ!

მე ვერ გკადრებთ ჭკუა გასწავლოთ, მაგრამ როგორ ახერხებთ მამა დაივიწყოთ და მამინაცვლის მზე იფიცოთ?

მინდა ვირწმუნო თქვენი კეთილგონიერება, მინდა ვირწმუნო, რომ კეთილი სძლევს ბოროტსა და საუკუნეებით ნაწრთობი ჩვენი მეგობრობა აღსდგება!

— ნუ დაღვრით ისედაც მცირე და უცოდველ სისხლს!

ელენე საყვარელიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

აფხაზეთში გამწვავებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მაფიქრებინა ამ წერილის დაწერა. სამწუხაროდ, ასაკის გამო არ შემიძლია უშუალოდ მივიდე და მივმართო მათ, ვინც ამ გაუგონარი ამბების შუაგულში ტრიალებს, ამიტომაც, გადავწყვიტე გაზეთის საშუალებით დამემყარებინა მათთან ურთიერთობა.

ქართველებსა და აფხაზებს შორის ოდითგანვე ძმური, მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ამას, თუნდაც ჩვენი დიდი ოჯახის მაგალითზე ვგრძნობდი. ჩემს მამამთილთან, მელიტონ ემხვართან თავს იყრიდნენ იმ დროის წარჩინებული ადამიანები: კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, რაფიელ ჩხოტუა, ოთარ და მუშნი ლადიანები, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, სიმონ ჯანაშია, შალვა ამირანაშვილი და მრავალი სხვა. არცერთი თავშეყრის დროს, არანაირი საუბრისას არ შემიმჩნევია, რომ აფხაზს ქართველისათვის, ან ქართველს აფხაზისთვის ეთქვას, შენ ამა და ამ ერის წარმომადგენელი ხარო. ამგვარი რამ გაუგონარი, მიუღებელი და წარმოუდგენელი იყო მათთვის, რადგან ამ ადამიანთა საერთო საფიქრალი და საზრუნავი საქართველო, მისი მომავალი და კეთილდღეობა გახლდათ. განა ვის, რომელს მოუვიდოდა აზრად ქართველთაგან განცალკევება ან გამოყოფა?

პირიქით კი იყო: მრავალი აფხაზი ქალი გაჰყოლია ქართველს და მრავალ აფხაზს მოუყვანია ქართველი ცოლად. არ მახსოვს, ამისთვის ვინმეს ვინმე დაეძრახოს, მიეთითებინოს. მაშ, ახლა რაღა მოხდა? რამ აათორიაქა ასე ამ ორი ერის შვილები? განა თქვენ, ჩემო თანამემამულენო, ანგარიშს არ უწევთ ჩვენს ისტორიას? საქართველო ხომ ჩვენი სამშობლოა, ერთიანი და განუყოფელი. დროა დავდოთ იარაღი, დავთრგუნოთ ემოციები, რადგან ავად მოქნეულ თითოეულ სიტყვას, ქცევას თუ მოქმედებას ისტორია არ გვაპატიებს.

ლილი ემხვარი.

◆

როდესაც გაზეთ „იზვესტიის“ 1989 წლის 18 ივლისის ნომერში წავიკითხე სპეციალური კორესპონდენტის ვლ. არსენიევის წერილი „მდგომარეობა აფხაზეთში“, რამდენიმე კითხვა უპასუხოდ დარჩა: რატომ აღწერს ამ მდგომარეობას კორესპონდენტი თბილისიდან (წერილს მინაწერი აქვს, თბილისი), რა მიზეზები განაპირობებენ ფაქტების დამახინჯებას, ხომ არ „დაუმუშავებიათ“ თბილისიდან მიღებული ინფორმაცია რედაქციაში (არავის გაუკვირდეს ეს), რატომ არ მოსთხოვა გაზეთის რედაქტორმა მის სპეციალურ კორესპონდენტს რეპორტაჟი ადგილიდან?

დიახ, უმიზეზოდ არაფერი ხდება, დღეს ეს ყველამ კარგად შეიგნო და იცის.

აუცილებლად მიმაჩნია არსენიევმა და მისმა მსგავსმა პირებმა პასუხი აგონ სასამართლოს წინაშე, რბილად რომ ვთქვათ, არაობიექტური, წინასწარგანსაზღვრული ინფორმაციისათვის. იმავე პროცესზე პასუხი უნდა გაეცეს ყველა კითხვას, სიტყვებით გამოვიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გამოყენებული იქნეს ისეთი ფორმაც, როგორიცაა რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაძევება.

სანამ არსენიევებისა და მათი თანამზრახველების მიმართ გადამჭრელ ღონისძიებებს არ განვახორციელებთ, მანამ მღვრიე ნაკადი არ შეწყდება.

დავით ბეგეშიძე,
პროფესორი.

უცხოეთში

საქპესი იუწყება
20 ივლისი

ეროვნული

პარტიული ერთიანობის ფორუმი

ნიუ-იორკი. ჩიკაგოში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის სამდღიანი კონფერენცია იდეოლოგიის პრობლემებზე. კონფერენციაში მონაწილეობდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა ასობით წარმომადგენელი. კონფერენციის ფარგლებში შეიქმნა 16 სემინარი, რომლებზეც მომზადებულია მოხსენებები იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ასპექტებზე, ამასთან თეორიულად არის გაანალიზებული პარტიის საქმიანობა და დასახულია მისი ამოცანები.

„ეს იყო პარტიული ერთიანობის კონფერენცია“, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ გეს ჰოლმა, რომელმაც შეაჯამა ფორუმის მუშაობის შედეგები. კონფერენციის დელეგატებმა, თქვა მან, ჩიკაგოში შეიმუშავეს ერთიანი პოზიცია თანამედროვეობის მრავალ აქტუალურ საკითხზე. მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე რთულ ცვლილებებს ფუნდამენტური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, ხაზი გაუსვა ამერიკელ კომუნისტთა ლიდერმა, ჩვენი ეპოქის ისტორიული არსი არ შეცვლილა. ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა.

რაც შეეხება ამერიკელ კომუნისტთა ამოცანებს 90-იანი წლებისათვის, მათთვის ამ ამოცანებიდან მთავარია ბრძოლა განიარაღებისა და ეკონომიკის კონვერსიისათვის — სამხედრო წარმოების მშვიდობიან რელსებზე გადაყვანისათვის. ამ მიზნის მიღწევას, აღინიშნა კონფერენციაზე, ხელს უწყობს სსრ კავშირის „მშვიდობიანი შეტევა“, მათ შორის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები დასავლეთის ქვეყნების მთელ რიგ ხელმძღვანელებთან. როგორც გ. ჰოლმა აღნიშნა, საბჭოთა კავშირში მიმდინარე საჯაროობისა და გარდაქმნის პოლიტიკას გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია. ეს პროცესები განასახიერებს სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს: მთელი ხალხის მონაწილეობას სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში.

დამთავრდა ამერიკის კომპარტიის იდეოლოგიური კონფერენცია

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ თქვა, საჭიროა არა მარტო დავიცვათ კაცობრიობა ომისაგან, არამედ გავხადოთ მსოფლიო უფრო ადამიანური. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის განვრცობას მშრომელთა უფლებებისა და ნამდვილი დემოკრატიისათვის, ყველა ფორმის ჩაგვრისა და რასიზმის წინააღმდეგ.

კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ გაიშალა კამპანია ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი წევრების მოზიდვისათვის. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუშაობას შავკანიან და ესპანურენოვან ამერიკელთა, ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენელთა შორის, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან ცხოვრების ყველა სფეროში. თუმცა კონფერენციის დროს არავითარი ცვლილებები არ შეუტანიათ პარტიის პროგრამის ტექსტში, დელეგატებმა აირჩიეს წარმომადგენლობითი კომისია არსებული პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად, რომელშიც უფრო სრულად აისახებოდა თანამედროვე მსოფლიოს რეალიები.

● პოლონეთი

აირჩიეს პრეზიდენტი

● **ვარშავა.** ოთხშაბათს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ეროვნულმა კრებამ — სეიმისა და სენატის გაერთიანებულმა სხდომამ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ვოიცეხ იარუზელსკი. მან მიიღო 270 ხმა, 233-ის წინააღმდეგ, ოცდათოთხმეტმა პარლამენტარმა თავი შეიკავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით პრეზიდენტს, რომელიც აირჩევა ექვსი წლის ვადით, ენიჭება ფართო უფლებები. ეროვნული კრების გადაწყვეტილებით კენჭისყრა იყო ღია და სახელობითი.

მოკლედ

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მიმართონ თხოვნით საბჭოთა კავშირს სამშობლოში გადაასვენონ ციმბირში ექსჰუმირებული ნეშტი, თუ ოფიციალურად დამტკიცდება, რომ იგი ეკუთვნის უნგრეთის ეროვნულ გმირს პოეტ შანდორ პეტეფის.

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა შეერთებულ შტატებში ვიზიტად ჩამოსვლის ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მმართველი ნაციონალისტური პარტიის ლიდერს ფრედერიკ დე კლერკს, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, სექტემბრის არჩევნების შემდეგ დანიშნავენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

● ავღანეთი

„იმედის“ შეხვედრები

ქაბული. ავღანეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ავღანეთის რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. რ. ჰატეფმა მიიღო საბჭოთა საზოგადოებრიობის საბჭოთა სამხედრო ტყვეების განთავისუფლების საკოორდინაციო კომიტეტის „იმედის“ დელეგაცია. შეხვედრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხებოდა ავღანეთში დატყვევებულ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლებას.

დელეგაციამ გამართა აგრეთვე სამუშაო შეხვედრები ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან მ. ფ. კარმანდთან და ავღანეთის რესპუბლიკის ულემთა და სამღვდელოების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან გ. ს. მანზურთან.

მზადდება შეთანხმება

დაიწყო მოლაპარაკება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის

ბრიუსელი. აქ დაიწყო მოლაპარაკება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების დადების შესახებ. საბჭოთა დელეგაციას სათავეში უდგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. დ. ივანოვი, ევროპის გაერთიანებათა კომისიის დელეგაციას — ამ კომისიის საგარეო ურთიერთობის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორი ზ. კრენზლერი.

კონტაქტები

უკეთ გავიცნოთ

მეხიკო. მექსიკის ქალაქ აგუასკალიენტესის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ხელი შეუწყოს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და ურთიერთგაცვლას საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისთან.

ქალაქ აგუასკალიენტესის (რაც ქართულად „ცხელ წყლებს“ ნიშნავს და ქალაქის მახლობლად მიწისქვეშა თბილი წყაროების არსებობასთან არის დაკავშირებული) ხელმძღვანელმა ორგანომ მოისმინა თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძის აგუასკალიენტესის მოქალაქეებისადმი მისასალმებელი წერილის ტექსტი.

წერილში, რომელიც ქალაქის მერს ექტორ მანუელ დელ ვილიარა მარტინესს გადასცეს მექსიკაში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა, ნათქვამია, რომ „სახალხო დიპლომატია“ ეხმარება სხვადასხვა ხალხების მრავალ წარმომადგენელს ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების და წეს-ჩვეულებების გაცნობაში. ჟურნალისტებმა დაათვალიერეს ამავე სახელწოდების შტატი გუბერნატორ მიგელ ანხელ ბერბერენ ვეგას მიწვევით.

აგუასკალიენტესი ცნობილია თავისი თერმული წყაროებით. იგი ქვეყნის მეღვინეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი და მსხვილი სარკინიგზო კვანძია.

მიიღო რა წერილი თბილისიდან, ექტორ მანუელ დელ ვილიარა მარტინესმა გამოთქვა რწმენა, რომ მიუხედავად ორ ქალაქს შორის დიდი მანძილისა, მათ მცხოვრებლებს შორის არსებობს სულიერი სიახლოვე, რომლის განმტკიცებაც აუცილებელია.

როგორც აგუასკალიენტესში გამომავალი გაზეთი „ელ სოლო დელ სენტრო“ აღნიშნავს, მომავალი კონტაქტების ფარგლებში სასარგებლოა ორი ქალაქის მცხოვრებთა დელეგაციების გაცვლა შემოდგომის დღესასწაულის „თბილისობის“ და სან-მარკოს ეროვნული ბაზრობის დროს, რომელიც აგუასკალიენტესში ყოველწლიურად აპრილ-მაისში იმართება. კარგი იქნებოდა აგრეთვე თუ „ხალხთა მარშის“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მარშრუტი, რომელიც იუნესკოს ეგიდით დაიწყება 1992 წელს ძველი იბერიული ტომების გზით საქართველოდან ესპანეთში და შემდგომ ქრისტეფორე კოლუმბის კარაველების კურსით ამერიკის ნაპირებამდე, აგუასკალიენტესზე გაივლიდა.

პრესა ადასტურებს

ისრაელის ავი ზრახვები

კაირო. ისრაელმა დაამუშავა ერაყის წინააღმდეგ აგრესიის გეგმა და ემზადება მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის, იუწყება ეგვიპტის გაზეთი „ალ-ვაფდი“, რომელიც იმოწმებს ინფორმირებულ დიპლომატიურ წყაროებს.

გაზეთის ცნობით, ისრაელის არმიის სახმელეთო ნაწილებმა სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად მოაწყეს სამხედრო მანევრების სერია, რომლის დროსაც ამუშავებდნენ ერაყის სამხედრო ობიექტებზე დარტყმებს, მათი დაპყრობისა და მოსპობის მეთოდებს.

ემზადება რა სამხედრო მოქმედებისათვის, ისრაელი ავრცელებს ეგრეთ წოდებულ სანდო წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს ერაყში ისრაელის სამხედრო ავიაციის მიერ დაბომბილი ბირთვული რეაქტორის აღდგენის შესახებ, და რომ თითქოს ერაყს უკვე ჰქონდეს საშიში ქიმიური იარაღი, განმარტავს გაზეთი. ისრაელის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩაღებულ ერაყის საწინააღმდეგო პროპაგანდისტულ კამპანიას მხარი აუბეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს შამირის მთავრობასა და მის უახლოეს მოკავშირეებს შორის კოორდინირებულ მოქმედებას. ისინი მხარს უჭერენ ყოველგვარ აგრესიულ აქციას არაბთა წინააღმდეგ, აღნიშნავს „ალ-ვაფდი“.

ფოტოინფორმაცია

● **ბულგარეთი.** სოფიის მოქალაქემ სლავა ბოჟილოვამ გახსნა პირველი კერძო საბავშვო ბაღი 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. გარდა იმისა, რომ აქ ნორჩები გარემოცულნი არიან ყურადღებითა და მზრუნველობით, მათ ასწავლიან წერა-კითხვას, ხატვას და ინგლისურ ენასაც კი.

სურათზე: სლავა ბოჟილოვა თავის აღსაზრდელებთან ერთად.

ბტა-საქპესის ფოტო.

კუზბასი: გარდატეხა უკეთესობისაკენ

პროკოპიევსკი. (კემეროვოს ოლქი), 19 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ნ. ჟელეზნოვი და გ. შალაკინი). წუხელ, საოლქო საგაფიცვო კომიტეტის გაფიცვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიუხედავად, კუზბასის მთელ რიგ რაიონებში არ ჩამცხრალა მიტინგები. ამ დროისათვის მეშახტეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული ინფორმაცია მათი, აგრეთვე სხვა დარგების მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის კონკრეტული ზომების მიღების შესახებ სამთავრობო კომისიისა და საგაფიცვო კომიტეტის მიერ ის-ის იყო ხელმოწერილი შეთანხმების შინაარსის თაობაზე. და მაინც, უკვე იმ ღამით დაიწყო გარდატეხა უკეთესობისაკენ.

ზოგიერთ შახტში სამუშაოდ გამოვიდა ღამის ცვლა, გაძლიერდა ქალაქის საწარმოთა ცხოველმყოფლობის სისტემების დაცვის რაზმები, საბოლოო ანგარიშით დღეღამის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი 24 ათასი კაცით შემცირდა.

ამ დილით ნოვოკუზნეცკში გამართულმა ოლქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის საგანგებო კრებამ ქალაქის საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად გამოაქვეყნა ერთობლივ მოქმედებათა ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც დამოკიდებულია რეგიონის ნორმალური ცხოვრების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა. როგორც აქტივის მონაწილეები აღნიშნავდნენ, ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა უფრო ინტენსიური გახადონ ყველა პარტიული კომიტეტის მუშაობა მშრომელებს შორის. დრომ გვიჩვენა: იქ, სადაც ხელმძღვანელი კომუნისტები ყოველთვის იდგნენ გაფიცულთა გვერდით, უფრო იოლად მყარდებოდა თანხმობა. აქტივის კრებაზე ითქვა ისიც, რომ პრესაც, რადიოც, ტელევიზიაც მთელი ამ დღეების განმავლობაში ასევე აქტიურად ახდენს გავლენას მოვლენათა მიმდინარეობაზე.

აი ერთი მაგალითი. როგორც კი კუზბასის ქალაქებში რადიოთი გამოაცხადეს შეთანხმების შინაარსი, მრავალმა მეშახტემ მოედნებიდან დაიწყო საწარმოებში დაბრუნება. შემდეგ რადიოთი გაისმა ცნობა კუზბასში შექმნილი ვითარების შესახებ, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. ადამიანები ჩერდებოდნენ ქუჩებში, იზიარებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელების, დეპუტატების შეშფოთებას კუზბასში შექმნილი სიტუაციის გამო. გაგებითა და გულითადობით მოეკიდნენ ისინი რთული ვითარების შეფასებას, რომელიც გაისმა სესიაზე. ისინი სოლიდარობას უცხადებენ ამ შეფასებას. კუზნეცკელი მშრომელები მხარს უჭერენ იმას, რომ გარდაქმნამ უფრო სწრაფად წაიწიოს წინ, მათ სურთ უკეთ გაუძღვნენ მეურნეობას, უფრო ეფექტიანად მოახდინონ გავლენა თავიანთი საწარმოების ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობაზე.

სამთავრობო კომისია პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ნ. სლიუნკოვის მეთაურობით პარტიულ კომიტეტებზე დაყრდნობით, საოლქო საგაფიცვო კომიტეტთან მჭიდრო კონტაქტით დაწვრილებით სწავლობს სიტუაციას, აანალიზებს მოლაპარაკების დროს წამოჭრილ საკითხებს და იღებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.

მხოლოდ ასეთი ერთობით შეიძლება დავამკვიდროთ უკეთესობისაკენ ის გარდატეხა, რომელიც იმ ღამით დაიწყო.

სამთავრობო კომისიამ მუშაობის თითქმის ორი დღე-ღამის განმავლობაში მოახერხა ადგილზე დაეკმაყოფილებინა კუზბასელ მშრომელთა პრაქტიკულად ყველა უმწვავესი მოთხოვნა, დღეს კი შესდგომოდა ოლქის ქალაქებში ცხოვრებისა და შრომის პირობების უფრო ღრმა შესწავლას.

თუმცა ემოციები ჯერ კიდევ საკმაოდაა, მუშები, რომლებიც ბრუნდებიან თავიანთ საწარმოებში, ფხიზლად და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მომხდარი ამბის შედეგებს. აი მხოლოდ ზოგიერთი აზრი, რომლებიც დღეს გაგვიზიარეს მუშებმა.

ვ. ზემლიანუხინი, „კუზნეცკაიას“ შახტის სამთო ოსტატი:

— როგორც საოლქო საგაფიცვო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, მინდა აღვნიშნო, რომ მუშები კარგად მოეკიდნენ კომისიას, რომელსაც მთავრობამ მიანდო ადგილზე გადაეჭრა წლობით დაგროვილი პრობლემები. მაგრამ ჩვენ ჩინებულად გვესმოდა: ქვეყნისათვის ახლანდელ დაძაბულ სიტუაციაში ბევრის მოთხოვნა ნიშნავს სხვებისათვის „წაგლეჯის“ იმედად ვიყოთ. მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის.

ჩვენ გამოვედით ორგანიზებულად, ვცდილობდით შეგვენარჩუნებინა წესრიგი ქალაქში. მუშათა კლასის ეს კარგი თვისებები არ უნდა დაიკარგოს შახტების სანგრევებში და საამქროებში დაბრუნების შემდეგ.

ა. სოლოვატოვი, „წითელი მაღაროელის“ შახტის სამთო მუშა:

— დღეს, როცა ერთკვირიანი შესვენების შემდეგ დავამთავრეთ პირველი ცვლა, რადიოთი მოვისმინეთ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნათქვამი სიტყვები, რომლებიც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ვ. კუზნეცოვი, „ცენტრალური“ შახტის გვირაბგამყვანი:

— კუზბასელმა მუშებმა საშუალება არ მისცეს მათ რიგებში შეეღწიათ როგორც ადგილობრივ, ისე სხვადასხვა ქალაქიდან და რესპუბლიკიდან ჩამოსულ ყბედებსა და პროვოკატორებს. ისინი ცდილობდნენ ჩვენი ცხოვრებისეული გაჭირვებების ტალღაზე თავს მოეხვიათ გაფიცულთა მასებისათვის ანტისაბჭოური ლოზუნგები.

ძნელი გზა დიალოგისაკენ

მაკეევკა (დონეცკის ოლქი), 19 ივლისი. (რატაუ-საქინფორმის კორ.). მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მიერ მეშახტეებისათვის გაგზავნილი დეპეშის შემდეგ, გაფიცვის მონაწილეებმა დაიწყეს შექმნილი სიტუაციის უფრო მშვიდად და აწონ-დაწონილად შეფასება. მაკეევკის გაერთიანებულმა საგაფიცვო კომიტეტმა მოუწოდა ყველა შახტის კოლექტივებს, არ ჩაებან გაფიცვაში, რადგან მას უკვე აღარ სჭირდება მხარდაჭერა. კონსტრუქციული დიალოგის გზა გაყვანილია.

კონფლიქტის განმუხტვაში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დ. გლადუში, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. პ. ფისუნი და დარგობრივი პროფკავშირის ხელმძღვანელები.

— განუწყვეტლივ მიმდინარეობს მოლაპარაკება საგაფიცვო კომიტეტთან,— გვითხრა ა. ფისუნმა.— ერთობლივი განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა, პროფკავშირული და პარტიული ორგანოები, უკვე შევძელით დაგვეკმაყოფილებინა ადგილობრივი ადმინისტრაციის კომპეტენციაში შემავალი მთელი რიგი მოთხოვნები.

კერძოდ, მიღებულია გადაწყვეტილება შემოიღონ ამოსაღები უბნების დამუშავების პერიოდში სათბობის მოპოვების, აგრეთვე გარკვეულ პირობებში ყოველი მეტრი გაყვანილი გვირაბის მტკიცე ფასდება. შახტების დირექტორებს მიეცათ მითითება გამოიყენონ წანამატები მაღაროელებისა და გვირაბგამყვანებისათვის, რომლებიც სანგრევი ჩაქუჩებით მუშაობენ. ამიერიდან საწარმოთა შრომითი კოლექტივების საბჭოებს უფლება აქვთ დამატებითი შვებულებები მისცენ იმათ, ვინც სილიკოზით დაავადებასაშიშ სანგრევებში მუშაობს. აგრეთვე ადმინისტრაციასთან შეთანხმებით დააწესონ შახტებისათვის წყვეტილი სამუშაო კვირა, საერთო დასვენების დღით — კვირით. გადაწყდა აგრეთვე შემოიღონ წანამატი საღამოს და ღამის ცვლებში მუშაობისათვის. მატერიალური წახალისების ფონდების ხარჯზე საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან ქალებს ფასიან შვებულებას მისცემენ სამ წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი მ. ი. შჩადოვი გამოეხმაურა მუშათა მოთხოვნას და გააუქმა ბრძანებულება „ისინოვსკაია-გლუბოკაიას“ შახტისათვის წლიური დავალების მომატების შესახებ. შახტის კოლექტივს ახლა შეუძლია წელიწადში ასი ათასი ტონით ნაკლები ქვანახშირი მოიპოვოს, ხელფასის წინანდელი ფონდი კი შეინარჩუნოს.

საკითხების სხვა ჯგუფი გაფიცვის მონაწილეებმა განსახილველად გადასცეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მაკეევკელ მეშახტეთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა შორის არის ისეთი მოთხოვნებიც, რომლებიც საერთოა მთელი დარგის მუშაკებისათვის. მათ ამჟამად, როგორც ცნობილია, წყვეტს კუზბასში მომუშავე სამთავრობო კომისია.

ავიაკატასტროფა არქტიკაში

19 ივლისს სამოქალაქო ავიაციის იაკუტიის სამმართველოს კოლიმა-ინდიგირის ავიასაწარმოს კუთვნილი ან-26 თვითმფრინავი მოსკოვის დროით 00 საათსა და 02 წუთზე აფრინდა შმიდტის კონცხის აეროპორტიდან აღმოსავლეთ ციმბირის ზღვაში ყინულების დასაზვერად.

უკანასკნელი კავშირი თვითმფრინავთან მოეწყო 3 საათზე მოსკოვის დროით, რის შემდეგაც მისი ეკიპაჟი კავშირზე არ გამოსულა.

ორგანიზებული ძებნის შედეგად თვითმფრინავი დამსხვრეული იპოვეს ზღვის ნაპირზე პევეკიდან ოთხმოც კილომეტრზე. თვითმფრინავის ეკიპაჟი და ბორტოპერატორები დაიღუპნენ.

კატასტროფის მიზეზებს იძიებს სსრ კავშირის სახავიაზედამხედველობის კომისია. (საქინფორმი).

მეცნიერება

დაისახა სამომავლო პერსპექტივები

თბილისსა და აბასთუმანში დამთავრდა საბჭოთა და ამერიკელ ასტროფიზიკოსთა სიმპოზიუმი

ახლახან თბილისსა და აბასთუმანში გაიმართა მაღალი ენერგიების ასტროფიზიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი საბჭოთა და ამერიკელ სწავლულთა სიმპოზიუმი.

სამყაროს ყველაზე მძლავრი ენერგიის წყაროები ბოლო ხანებამდე კაცობრიობისათვის დაფარული იყო. ახლა კი, ახალ დიაპაზონში დამზერის მრავალფეროვანი ხერხების წყალობით, ზედიზედ გამოჩნდა პულსარები, კვაზარები, შავი ხვრელები, გალაქტიკის აქტიური ბირთვები, არაპერიოდული და კვაზიპერიოდული რენტგენული აფეთქებები. ამ ობიექტების შესწავლას დიდად უწყობს ხელს როგორც ულტრათანამედროვე ტექნიკური საშუალებები (ხელოვნური თანამგზავრები, რენტგენული თუ გამა-ტელესკოპები და სხვ.), ისე მათი დახმარებით მოპოვებული უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობები ელექტრონულ გამოთვლით მანქანებზე.

◆

რენტგენულ და გამა-ასტრონომიად წოდებული მაღალი ენერგიების ასტროფიზიკა მარტო ფუნდამენტური მეცნიერება კი არ არის, არამედ ერთგვარად უტილიტარულიც და მისმა განვითარებამ ბუნების უცნობი კანონზომიერებები უნდა დაგვადგენინოს. ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები ფანტასტიკურად მაღალი მაგნიტური ველით, ასეთივე სიმკვრივითა და სხვა უჩვეულო პარამეტრებით გამოირჩევა. ამგვარად, ეს ოციოდე წლის ისტორიის მქონე დარგი ზემძლავრი ენერგიის წყაროთა ფიზიკურ ბუნებას ექსტრემალურ პირობებში იკვლევს. რენტგენული ასტრონომია სამყაროს დასაწყისის გარკვევაშიც გვეხმარება.

ახალი მიმართულებისათვის დამახასიათებელი მასშტაბური პრობლემატიკის დამუშავება, ერთი მხრივ კოსმოსური სივრცისა თუ ციური სხეულების მეცნიერული ათვისების ამოცანების, მეორე მხრივ — კაცობრიობის მიწიერ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნის როგორც ცალკეულ სწავლულთა, ისე მთელი კოლექტივების შესაძლებლობათა და ძალთა ინტეგრაციას, ორგანიზაციულ და შემოქმედებით თანამშრომლობას. ეს სსრ კავშირისა და აშშ-ის ასტროფიზიკოსთა შეხვედრებმაც დაადასტურა. მასში მონაწილეობდნენ გამოჩენილი სპეციალისტები აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ალბერტ გალეევი და რაშიდ სიუნიაევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ჯუმბერ ლომინაძე, ამერიკელი პროფესორები რიკარდო ჯიაკონი, მარტინ შმიდტი, ვოლტერ ლიუინი, ჯორჯ კლარკი და სხვანი. ჩვენ გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს.

ალბერტ გალეევი (კოსმოსური კვლევის ინსტიტუტი, მოსკოვი): მეცნიერება ინტერნაციონალურია და არა აქვს საკუთარ ნაჭუჭში მოქცევის უფლება. სწავლულთა ურთიერთობები არ უნდა იყოს პოლიტიკურ ბარომეტრზე დამოკიდებული. ადრე ამერიკელ ასტროფიზიკოსებს სისტემატურად ვხვდებოდით, 1977 წლის შემდეგ კი როგორღაც ხანგრძლივი უძრაობა გამოგვივიდა. ამის წინათ ჩვენ განვაახლეთ აქტიური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს ერთობლივ კოსმოსურ ექსპერიმენტებს, სპეციალისტთა გაცვლას, თემატური კონფერენციების მოწყობას (ვთქვათ, მზის სისტემის წარმოშობის, მზე — დედამიწის ფიზიკისა და სხვა საკითხებზე). თვით ფაქტი, რომ ეს სიმპოზიუმი საქართველოში ეწყობა, უკვე მეტყველებს თქვენთან რენტგენული და გამა-ასტრონომიის თეორიის დარგში მაღალკვალიფიციური ჯგუფის არსებობაზე, რომელსაც ჯუმბერ ლომინაძე ხელმძღვანელობს. თქვენი ახალგაზრდა მკვლევარები ყველა შესაძლებლობას იყენებენ საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად და, რასაკვირველია, ეს სწორია.

მარტინ შმიდტი (კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პასადენა): საქართველოზე ცოტა რამ გავიგე 1977 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ზელენჩუკში ყოფნისას, სადაც დგას მსოფლიოში უდიდესი, ექვსმეტრიანი ოპტიკური ტელესკოპი. მე კალიფორნიაში ვცხოვრობ და 9 აპრილის ამბები იქ ვრცლად შუქდებოდა. დარწმუნებული ვარ თბილისის სახელი ბევრმა ამერიკელმა მაშინ პირველად გაიგონა.

ახლანდელი სიმპოზიუმი ორგანიზაციულად საუცხოოდ მოუმზადებიათ. ბანალურად ნუ მიიღებთ და აღტაცებული დავრჩი თქვენი სტუმართმოყვარეობით, კმაყოფილი ვარ სასტუმროთი, ქართული სამზარეულოთი, სხვა პირობებით.

თავისთავად, ჩვენი შეხვედრის მეცნიერული დონე მაღალია, მაგრამ ერთგვარი ნაკლიც შევამჩნიე: მრავალ საკითხს გადავწვდით და ღრმა მსჯელობისათვის ნაკლები დრო გვრჩება. ჩვეულებრივ, მეტი წარმატება ისეთ ფორუმებს ხვდება, სადაც ერთი-ორი პრობლემა განიხილება და არის დაწვრილებითი, საფუძვლიანი საუბრის შესაძლებლობა.

ეს წმინდა თეორიული დარგი, ფაქტობრივად, დაკვირვებითი მაღალი ენერგიების ასტროფიზიკას წარმოადგენს და ციურ ობიექტებზე მიმდინარე ისეთ პროცესებს შეისწავლის, რომელთა განმეორება დედამიწაზე ლაბორატორიულ პირობებში შეუძლებელია. ამ დარგის განვითარება ადამიანებს ცნობისწადილს დაუკმაყოფილებს და, არა მგონია, ოდესმე საფრთხით დაემუქროს...

ჯუმბერ ლომინაძე (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თეორიული ასტროფიზიკის განყოფილების გამგე, თბილისი): ორი ათეული წლის წინათ, როდესაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შემწეობით შესაძლო გახდა რთული ასტრონომიული ხელსაწყოების გატანა დედამიწის ზედაპირიდან 300 კილომეტრზე მეტი სიმაღლის ორბიტაზე, აღმოჩენილ იქნა უამრავი ადრე უცნობი, შორეულ კოსმოსში განლაგებული და უზარმაზარი ენერგიების გამომსხივებელი ობიექტები. მათი ბუნების დადგენა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თეორიულ ასტროფიზიკაში მომუშავე მკვლევართა საქმეა. ამ მხრივ მინდა აღვნიშნო ჩვენი განყოფილების ახალგაზრდა წევრები. მათ შორის, მეცნიერებათა კანდიდატი გოგი ჩაგელიშვილი იძიებს შავი ხვრელების ირგვლივ აკრეციულ დისკოებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს, რომლებიც განაპირობებენ ამ უჩვეულო (რენტგენული და გამა) გამოსხივების ხასიათს. კერძოდ, შავი ხვრელის არსებობა ყველაზე სავარაუდოა გედის თანავარსკვლავედში მისი გამოსხივების ახსნას უთუოდ შეუწყობს ხელს ჩაგელიშვილის მიერ დამუშავებული მოდელი. სხვათა შორის, ეს მოდელი ენერგიის სხვა წყაროებზეც „მუშაობს“.

ასტროფიზიკური თვალსაზრისით ასევე ერთობ საინტერესოდ წარმოგვიდგება კიბორჩხალას ნისლეული და იქ მდებარე ეგზოტიკური ობიექტი — პულსარი (ნეიტრონული ვარსკვლავი). ამ ნისლეულში პულსარის მიზეზით წარმოიშობა ეგრეთ წოდებული „ვისპები“; მათი პრინციპული არსებობა და ფიზიკური პარამეტრების შესწავლა ძალზე რთული ამოცანაა, რომელიც წარმატებით მუშავდება მეცნიერებათა კანდიდატის ელგუჯა წიქარიშვილის ნაშრომებში. საგულისხმოა, რომ მის შედეგებსაც ეყრდნობა ცნობილ ინგლისელ ასტროფიზიკოსთან, პროფესორ მაიკლ დინსეისთან კოსმოსური ტელესკოპით კვლევის ერთობლივი პროგრამა: ამ ტელესკოპის გაშვება ჯერ კიდევ შარშან იყო ნავარაუდევი კოსმოსური „ბორანის“ („შატლი“) მეშვეობით, მაგრამ გადაიდო „ჩელენჯერის“ კატასტროფის გამო.

ჩაგელიშვილი და წიქარიშვილი იმ ნიშნით გამოვყავი, რომ მალე ორივე წარსდგება სადოქტორო დისერტაციების დასაცავად.

ბატონი ვოლტერ ლიუინი რენტგენული აფეთქებების (ბარსტერების) ერთ-ერთი აღმომჩენი გახლავთ. საკუთარი მაგნიტოფონით ჩამოსული ეს ექსტრავაგანტური უცხოელი თელავში გულმოდგინედ იწერდა იქაური ანსამბლის მიერ შესრულებულ ყოველ ქართულ ხალხურ სიმღერას.

აბასთუმანში სიმპოზიუმი მხოლოდ ქართველ და ამერიკელ სპეციალისტთა მონაწილეობით გაგრძელდა. სტუმრები თვითონაც გამოვიდნენ მოხსენებებით და მოისმინეს საქართველოს ასტროფიზიკოსთა — ჯუმბერ ლომინაძის, გურამ კახიძის, გიორგი ჩაგელიშვილის, გიორგი მელიქიძის, მიხეილ გედალინის, ელგუჯა წიქარაშვილის, გიორგი გომელაურის, ნათელა კოლოშვილის, თემურ ტოროშელიძის მეცნიერული გამოსვლები. იქვე დაისახა ქართველ და ამერიკელ მკვლევართა შემდგომი ახალი ერთობლივი პროფიზიკური ექსპერიმენტების პერსპექტივები.

თამაზ ებანოიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ... სიმონ კილაძის ფოტო.

ვეხმაურებით წერილს: „ეს გასათვალისწინებელია“!

ჭადრაკს მეტოქეობა ამოძრავებს

როცა 1 ივლისისათვის მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ახალი „რეიტინგლისტი“ გამოქვეყნდა, მას, ისევე, როგორც ნახევარი წლის წინათ, კვლავ იუდით პოლგარი უდგას სათავეში. არის ცვლილებებიც. მეორე ადგილზე გადაინაცვლა მისმა უფროსმა დამ ჟუჟამ, მესამეა მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. ერთი სიტყვით, იმ საყოველთაო დავასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რომელიც „პოლგარების ფენომენის“ გარშემო სწარმოებს, ახალი საფუძველი მიეცა. ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინ უნგრელი ჟურნალისტის წერილი გამოვაქვეყნეთ პოლგარების შესახებ. ახლა ამ საკითხის განხილვის გაგრძელების მიზნით „კომუნისტის“ საჭადრაკო მიმომხილველი გივი გამრეკელი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგეს, თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორს, დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს.

— ახალ „რეიტინგლისტში“ იუდით პოლგარს ზუსტად იმდენივე ქულა—2555 აქვს, რამდენიც იანვარში ჰქონდა. ეს მაშინ, როცა უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მან არაერთ შეჯიბრებაში ითამაშა. რითი ხსნით ამ ამბავს?

— იანვრიდან მოყოლებული, 13 წლის იუდითმა სამ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. მისი შედეგი ჰასტინგსის ვაჟთა მეორე, ე. წ. „ჩელენჯერტურნირში“ პირდაპირ დიდებული იყო. აქ მან გაასწრო და სძლია რამდენიმე დიდოსტატს, პირველ ადგილზე გამოვიდა და უფლება მოიპოვა დეკემბრისათვის ითამაშოს ჰასტინგსის პირველ 8 უძლიერესი დიდოსტატის ორწრიან ტურნირში. თქმა არ უნდა, გასაოცარი წარმატებაა. მარტში გოგონამ ჩინებულად ითამაშა ნიუ-იორკში (5,5 ქულა ცხრიდან) და ეტყობა, თავისი რეიტინგი მკვეთრად გააუმჯობესა. აი, მაისში კი ესპანეთის არც ისე ძლიერი შემადგენლობის ტურნირში, მე არ ვიცი, რა მიზეზით, იუდითი ძალზე მარცხიანად გამოვიდა. 12 მონაწილეს შორის ბოლო ადგილი დაიკავა (პირველი შემთხვევაა მის პრაქტიკაში!), ბევრი სარეიტინგო ქულა დაკარგა და ახლა იმდენივე აქვს, რაც იანვარში. ასეა თუ ისე, ის ფაქტი, რომ ასეთი ასაკის მოჭადრაკე სათავეში უდგას მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების ცხრილს, რა თქმა უნდა, უნიკალურია.

— ხომ არ ნიშნავს ეს ამბავი, რომ დები პოლგარები ამ უახლეს ხანებში პრეტენზიას განაცხადებენ ქალთა მსოფლიო პირველობაზე. იუდითზე უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ჟუჟა პოლგარს სისტემატური წარმატებები აქვს, სოფიამ კი გასაოცარ წარმატებას მიაღწია რომში, სადაც 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით უკან ჩამოიტოვა დოლმატოვი, ჩერნინი, რაზუვაევი, პალატნიკი და ამ უკანასკნელ სამს კიდევაც მოუგო.

— რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, პოლგარები ქალთა შორის თამაშს არ აპირებენ (ეტყობა, ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიადები იქნება) და ამდენად მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის პრეტენზიას არ აცხადებენ. მათი მიზანია, რამდენადაც არარეალურად არ უნდა გამოიყურებოდეს ეს, მსოფლიო პირველობა ვაჟთა შორის.

— დიახ, მაგრამ ერთ დღეს ხომ უნდა აიღონ ხელი ამ ილუზიაზე. მაშინ, ალბათ, ქალთა შორის დაიწყებენ თამაშს.

— რა თქმა უნდა, ამ მომენტისათვის მზად უნდა ვიყოთ. ამასთან არც ის არის სასიამოვნო, რეიტინგით ასე რომ ჩამოიტოვეს ჩვენი მოჭადრაკეები. როცა პოლგარები ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ბრძოლაში ჩაებმებიან, მათ, ცხადია, ჯერ რომელიმე საწყის ეტაპზე დაუშვებენ, ვთქვათ, საზონათაშორისო ტურნირში. აქვე ან შემდეგ პრეტენდენტთა ასპარეზობაში უნდა გადავუღობოთ გზა, საქართველოს საამისოდ ნიჭიერი დიდოსტატები ჰყავს. თვალი გადავავლოთ პოლგარების პროფესიულ მომზადებას. ისინი სკოლაში არ დადიან და მთელ დროს ჭადრაკს ანდომებენ. ის, რასაც პოლგარების მშობლები აკეთებენ, ჩვენთანაც საკმაოდ ეფექტურად კეთდებოდა. პოლგარებმა ერთი მომენტიც გაითვალისწინეს ფიშერის პრაქტიკიდან, რათა ნებისყოფა გამოემუშავებინათ. როცა სრულიად ახალგაზრდა ფიშერი, ენერგიით სავსე, ლამაზი გარეგნობის ჭაბუკი იუგოსლავიაში ჩავიდა, ყველასთვის მოულოდნელად იგი 3 თვით სასტუმროში ჩაიკეტა. რატომ? ამ ხნის განმავლობაში თურმე, გასული საუკუნის იუგოსლაველი მოჭადრაკეების პარტიებს სწავლობდა. თქვენ იკითხავთ, რად სჭირდებოდა მას ამ მოჭადრაკეების პარტიები? არაფრად, მაგრამ საკუთარ თავს სცდიდა, ნებისყოფას იმტკიცებდა.

— შეიძლება ითქვას, რომ პოლგარები ფიშერის მსგავსი გენიოსებია? მაშინ მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი ყოფილა.

— გენიოსობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, უკეთ უნდა მოვემზადოთ, ვეძებოთ ახალი ტალანტები. ზოგ ქვეყანაში არის „მოხეტიალე მწვრთნელის“ ცნება. რა გვიშლის ჩვენ ხელს, რომ რომელიმე კვალიფიციური მოჭადრაკე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ხანგრძლივად მივავლინოთ, სადაც იგი უამრავ ბავშვს შეხვდება, ეთამაშება, გამოცდის, რეკომენდაციას მისცემს. ეს საუკეთესო ბავშვები თბილისში უნდა ჩამოვიყვანოთ, სადაც თავისებური „ლიცეუმი“ გვექნება 4—5 წლის სწავლების ვადით. ეს ბავშვები ჩვენთან ჭადრაკის სასახლეში იცხოვრებენ (მალე ამის საშუალება გვექნება, ალპური კლუბის ოთახები გადმოგვეცემა) და ძალიან ბევრს, ისევე, როგორც პოლგარები, იმეცადინებენ. შედეგი უდავოდ დადებითი იქნება. პარალელურად ისინი საშუალო სკოლასაც დაამთავრებენ, მაგრამ ამავე დროს დიპლომიც უნდა მიიღონ, ვთქვათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომი, პირველი კატეგორიის მწვრთნელის დიპლომიც. ყოველწლიურად რომ სამმა ჭაბუკმა და სამმა გოგონამ მიიღოს ასეთი კვალიფიკაცია და მაღალი კლასის მოჭადრაკე გახდეს, განა ჩვენ ვინმესი შეგვეშინდება?

— ჩვენი წამყვანი ვაჟი მოჭადრაკეების მიღწევები, როგორც ცნობილია, ძალზე ჩამოუვარდება ქალებისას, როცა ვაჟთა ჭადრაკი იწევს, ეს კეთილად იმოქმედებს ქალებზეც, რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— დიახ, ამ საკითხსაც უნდა მივხედოთ. ახლა იშვიათია დიდოსტატი, უახლესი წარმოების პირადი კომპიუტერი რომ არ ჰქონდეს. ეს დრომ მოიტანა. თავის დროზე კერესს ან ტალს კომპიუტერი არა ჰქონია, ახლა კი ბელიავსკის იგი ყოველ ტურნირზე დააქვს. ტექნიკა ბევრად უნდა დაეხმაროს ჩვენს წამყვან მოჭადრაკე ქალებსაც და ვაჟებსაც.

— ისევ პოლგარების საკითხს დავუბრუნდეთ. მაინც როგორ უყურებთ მათს ასეთ დაწინაურებას?

— საერთოდ პოლგარების დაწინაურებამ, მათმა ფენომენმა ძალიან დადებითად უნდა იმოქმედოს საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაზე. მან დიდი სტიმული უნდა მისცეს ჭადრაკის განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში. ეს საჭადრაკო ცხოვრებას, ბუნებრივია, უფრო საინტერესოს გახდის. აქამდე ყველა შეჯიბრებაში ჩვენი ქართველი მოჭადრაკე ქალები იმარჯვებდნენ, ახლა კი მათ მეტოქეები (და თანაც როგორი მეტოქეები) გაუჩნდათ. ვნახოთ, ჭადრაკს და, საერთოდ ცხოვრებასაც, ხომ მეტოქეობა ამოძრავებს.

წერილი „კომუნისტს“

შეცდომა თუ კონფორმიზმი?..

ბატონო რედაქტორო! წერილი ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შეეხება და ამიტომ საჯაროობის უფლებით გთხოვთ, გამოაქვეყნოთ იგი თქვენს გაზეთში.

გასულ კვირას, 16 ივლისს, „კომუნისტში“ დაიბეჭდა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ“. ამ მასალაში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, თვალნათლივ მოჩანს, თუ რა უზარმაზარ მუშაობას ეწევა ეს ქვეკომისია, და საერთოდ მთელი კომისია (თავმჯდომარე პროფესორი თ. შავგულიძე) აპრილის ავბედით პრობლემაში გასარკვევად. მაგრამ ამ დასკვნაში არის პარაგრაფი — №4 — რომლის გამოც მე აუცილებლად უნდა გამოვთქვა ჩემი პოზიცია. ჩემს თავზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ, როგორც იცით, ასე თუ ისე ჩახედული ვარ აპრილის უბედურების მექანიზმში და, თუ მასობრივი მკითხველი ამ პარაგრაფს ჯეროვანი ყურადღებით არ ჩაუკვირდა— დასკვნა ვრცელია და ბევრის მომცველი — იგი სერიოზულ საშიშროებას გვიქადის.

ამ პარაგრაფში წერია:

„რადგან მიტინგის ალკვეთამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცია ბრძანებულება თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ, ხოლო სსრკ თავდაცვის სამინისტროს **არ მიუღია შესაბამისი ბრძანება** (ხაზი ჩემია — ი. გ.), ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ი. როდიონოვს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა მიტინგის ალკვეთის **ოპერაციის ხელმძღვანელად განესაზღვრა საკუთარი თავი**“ (ხაზი ჩემია — ი. გ.) და ქვემოთ:

„**ი. როდიონოვმა დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ თვითნებურად მიითვისა ხელისუფლება, რის გამოც აშკარად გასცდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს**“.

ჯერ ერთი: რა უფლებით ამტკიცებს ქვეკომისია, რომ „სსრკ თავდაცვის სამინისტროს არ მიუღია შესაბამისი ბრძანება?“ დიახ, ასეთი ბრძანება დოკუმენტად შექმნილი ანუ ქაღალდზე დაწერილი და ბეჭედდასმული ვერსად ვიპოვეთ. მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ ჩვენს არასამართლებრივ სახელმწიფოში არაოფიციალურად, ტელეფონით გაცემული ბრძანება უფრო სავალდებულო ბრძანებაა ხოლმე, ვიდრე ქაღალდზე ხელმოწერილი. ჩვენ ყველამ, მათ შორის მე, კარგად ვიცით, რომ მინისტრმა დ. იაზოვმა 9 აპრილს მომიტინგეთა ძალით დაშლის შესახებ არა თუ იცოდა, არამედ მან თავისი პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი და ი. როდიონოვი გაუგზავნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ აქციის ჩატარების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბატონმა ჯ. ხეცურიანმა, საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, მარტო ეს კი არა, არამედ ისიც შესანიშნავად იცის, რომ ალბათ თვით დ. იაზოვიც კი არ არის ბოლო ინსტანცია, რომელმაც ამ აქციის გატარების ნებართვა დაუშვა. თითქმის სამი თვეა ი. როდიონოვი სულ იმას მთხოვს — ხან ტელეფონით მირეკავს, ხან პირადად მხვდება, — რომ მხოლოდ იგი ვაღიარო ყველაფრის სათავედ და აღარ გავყვე იმ ძაფს, რომელიც „ზემოთ“ მიდის. გასაგებია, რატომ მთხოვს იგი ამას: უთუოდ ასე უბრძანეს.

ამიტომ, თუ მართლა ვაპირებთ „პერესტროიკას“, თუ მართლა დავადექით დემოკრატიზაციის გზას, ჩვენი, ყველასი ვალდებულებაა გამოვააშკარავოთ ის სტალინური მექანიზმი, რომელიც დღეს ისევ ცოცხლობს და ისევ მოქმედებს. მარტო როდიონოვზე ჯოხის გადატეხვა კვლავ ძველ ჩიხში შეგვამწყვდევს. აქედან გამომდინარე საჭიროა, არა „ნაცადი“ ფორმალისტური კურსით ვიაროთ, აქაოდა, რადგან თავდაცვის სამინისტროში დოკუმენტი არ შეუქმნიათ, ამიტომ ყველაფერში როდიონოვია დამნაშავე და სხვა არავინო, არამედ საქვეყნოდ ვთქვათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა. რეალურად მოხდა.

დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ამგვარი „შეცდომა“ — ვაი თუ ეს კონფორმიზმიცაა! — გამომკვლევ კომისიას ავტორიტეტს უბლალავს. მითუმეტეს, რომ მსგავსი „ლაპსუსი“ მის მუშაობაში ადრეც არის შემჩნეული. არადა, როგორი რწმენით შეცქერის მას ჩვენი მართლაც რომ გაუბედურებული ერი, როგორი თრთოლვით ელის იგი ყოველ მართალ სიტყვას!

ზემოთ აღნიშნული პარაგრაფი, მჯერა, უნდა გადასწორდეს.

ირაკლი გოცირიძე,
ჟურნალისტი.

ფეხბურთი

მერვედფინალისტები დაწყვილდნენ

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან იმ მერვედფინალისტთა ვინაობა, რომლებიც ფეხბურთში 1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშების ამ ეტაპში გავიდნენ. ცნობილი გახდა ისიც, თუ ვინ შეხვდება ერთმანეთს ამ მატჩებში. თავდაპირველად თბილისის „დინამოს“ მეტოქეზე. ეს არის სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — კიევის „დინამო“. როგორც ამ გუნდების, ისე სხვა დანარჩენი კოლექტივების პირველი შეხვედრები მოეწყობა 12 ნოემბერს, განმეორებითი კი 16 ნოემბერს. პირველი მატჩების მასპინძელთა ვინაობა გაირკვევა წილისყრით.

ახლა დანარჩენი მერვედფინალური მატჩების მონაწილეთა შესახებაც: მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდება ოდესის „ჩერნომორეცს“, ვილნიუსის „ჟალგირისი“ — მოსკოვის „ლოკომოტივს“, მოსკოვის „სპარტაკი“ — მინსკის „დინამოს“, მოსკოვის „დინამო“ — ერევნის „არარატს“, ტაშკენტის „პახტაქორი“ — ხარკოვის „მეტალისტს“, ცსკა — ვოლგოგრადის „როტორს“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — დონეცკის „შახტიორს“.

საჩემპიონო ორბიტა

● **ახალგაზრდული ასპარეზობანი.** გრძელდება მეოთხე საკავშირო ახალგაზრდული შეჯიბრებები. უკრაინაში მოასპარეზე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა თავის ნახევარფინალურ „ა“ ჯგუფში დიდი ანგარიშით დაამარცხა სომხეთის გუნდი — 6:2. ამავე ჯგუფში მოლდაველებმა პენალტების სერიით მოუგეს შეხვედრა რუსეთის ფედერაციის ნაკრებს. ამ ჯგუფში საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობას გაარკვევს საქართველოსა და მოლდავეთის ფეხბურთელთა დღევანდელი მატჩის შედეგი. ლვოვის სასროლეთზე ტყვიის სროლაში სოხუმელმა ალექსანდრე კუჭუხიძემ მესამე ადგილი დაიკავა. დნეპროპეტროვსკში დამთავრებულ ბადმინტონისტთა შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები მერვე ადგილზე გამოვიდა. საერთო-გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოსკოვის სპორტული დელეგაციები. მეხუთე ადგილისათვის საქართველოსა და ლენინგრადის სპორტსმენები პაექრობენ. ლენინგრადელებს ჯერჯერობით მოპოვებული აქვთ 54 მედალი (14 ოქროსი, 18 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოსი), საქართველოს სპორტსმენებს — 52 (შესაბამისად 17, 15 და 20).

● **რუსული შაში.** რუსთავში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე უკეთ იასპარეზა ლალი ჩომახიძემ. მან 11 შესაძლებლიდან 10,5 ქულა დააგროვა და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდა მადონა შალამბერიძე (9,5 ქულა), მესამეზე — ნატო აღლაძე (8,5). ვაჟთა შორის ყველას აჯობა ლევან კიკნაძემ (10 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ლატვიიდან მოწვეული სტუმარი იანის კალნინში (9,5), მესამეზე — ალექსანდრე ბერუაშვილი (9 ქულა). გამარჯვებულებმა სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ხანმოკლე წვიმა, ზოგან მნიშვნელოვანი, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 24-29, მთაში 21-26, მაღალმთიანეთში 16-21 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 27-32, მთაში 22-27, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — 30-32 გრადუსი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — პარასკევი, 21 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.40 — პროგრამა. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ყალბი უფლისწული“. 17.15 — მოსწავლეთათვის — „სიმწიფის მიჯნაზე“. 18.00 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. 18.40 — „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი“ — გიორგი დარახველიძე. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „დინამო (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს“ სტადიონიდან. 21.45 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — ვრემია. 22.40 — ფილმის შუქ-ჩრდილი“ — ქართული მხატვრული ფილმი „განძი“.

მეორე პროგრამა. 16.30 — პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ოქროს რქები“. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.20 — მხატვრული ფილმი „ზღაპრების მეჯლისი“. 19.25—მოამბე. 20.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერაბიშვილები“. 20.20 — სატელევიზიო ფილმი — ოპერეტა „გრაფ ლუქსემბურგი“. 22.00— „ვრემია“. (თბილისის ტელევიზიის პროგრამაში მოსალოდნელია ცვლილებები).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 17.30 — „120 წუთი“. 9.35 — მულტფილმი. 10.05 — ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შემოქმედება. 10.30 — დოკუმენტური ფილმი. 11.00 — ტელესპექტაკლი „დეტექტივის თამაში“, მე-4 გამოშვება. 12.05 — კონცერტი. 16.35 — დოკუმენტური ტელეფილმები. 17.15 — მულტფილმები. 17.35 — შუმანი. „ზღაპრული სურათები“. ალტისა და ფორტეპიანოსათვის. 17.55 — ბელგიის ეროვნული დღესასწაული. ბელგიის ტელევიზიის პროგრამა. 19.00 — იმპულსი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.15 — „ვიმღეროთ, მეგობრებო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „გულის შიმშილი“. 0.05 — „ეს იყო... იყო...“. 0.25 — დღეს მსოფლიოში. 0.40 — მეოთხე ბორბლის პროგრამის მუსიკალური დამატება.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 — საგუნდო მუსიკის კონცერტი. 10.25 — მულტფილმები. 10.55 და 13.30 — ინგლისური ენა. 11.25 — დოკუმენტური ტელეფილმი. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები“. IV სერია. 13.10 — გრიგი. ბალადა. 14.10 — „სულის სიღრმიდან“. გადაცემა ტომსკიდან. 18.15 — მხატვრული ტელეფილმი „საშიში კაცი“. 19.25 — მულტფილმი. 20.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო“ — „ტორპედო“. II ტაიმი. „ჟალგირისი“ — „დნეპრი“. II ტაიმი. შესვენებისას — 23.30 — საინფორმაციო გამოშვება. 0.35 — მხატვრული ტელეფილმი „საშიში კაცი“.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 60434 ტ 10448 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14